დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა
(სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია მამისეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. ლელა წურწუმია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
3. მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5. მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6. დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
7. ნინო თედიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
10. ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970714

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი დედალაური
საფოსტო ინდექსი	5908
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dedalauri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577947132

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 3 25 0000599431;30.05.2025წ.**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26-27 ივნისი 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დედალაური (1 შენობა)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დედალაური (1

	პროგრამა	პროგრამა		შენობა)
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დედალაური (1 შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის წლის 26-27 ივნისს. სკოლაში დასაქმებულია 28 თანამშრომელი, მათ შორის 18 მასწავლებელი, ერთი სპეცმასწავლებელი, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში ირიცხებოდა 57 მოსწავლე (34 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 17 მოსწავლე საბაზო საფეხურზე, 6 მოსწავლე საშუალო საფეხურზე). სკოლაში ფუნქციონირებს 12 ფინანსური კლასი. დაწესებულება სწავლებას ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე .

სკოლაში ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას. დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ: სკოლის დირექტორთან, სამუშაო ჯგუფთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, სპეცმასწავლებელთან,საქმისმწარმოებელთან. საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუ, რომელიც ვიზიტის პირველივე დღესვე შეუფერხებლად განხორციელდა. აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად შეხვდა დაწყებითი საფეხურის ქართული ენის, მათემატიკისა,ესთეტიკური აღზრდისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს და მიგნებები შეაჯერა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ესთეტიკური აღზრდისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ ექსპერტებთან. ყველა საგნობრივი ექსპერტი ონლაინშეხვედრაზე შეუფერხებლად დაუკავშირდა საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, რომლებმაც გარკვეული უკუკავშირი მიიღეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც განთავსებულია ყველა საკლასო ოთახში, არის სხვადასხვა საგნისა და მიზნის შესაბამისი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიუთითებს, რომ მასწავლებლები დიდ დროს უთმობენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობასა და მოსწავლეების მრავალმხრივი უნარების განვითარებას. სკოლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მიუთითებს ის მიღწევები, რომლებიც ასახულია სკოლის დერეფნებში გამოფენილ სერტიფიკატებსა და მოპოვებულ თასებში და რომელიც სკოლის მოსწავლეთა სპორტულ მიღწევებს აღწერს სარაიონოთუსაქვეყნდონეზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 169	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N *3.1.2.3.*	**პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**	სკოლაში ხელოვნებასა და მუსიკას შეთავსებით ასწავლიან სხვა საგნების პედაგოგები, შესაბამისად მათ ამ საგნებში არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა მტკიცებულება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ,,მასწავლებელთა ვაკანსიის“ სპეციალურ სივრცეში ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ (იხ: https://teacherjobs.ge/83021; https://teacherjobs.ge/83020) სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, ყველა შესაძლო რისკის ალბათობის გათვალისწინებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 2025

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		წლის 10 ივლისიდან 2026 წლის 10 ივლისის ჩათვლით შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის სპეციალისტები შეარჩიოს მუსიკა-ხელოვნების საგნების სწავლებისას.
ინდიკატორი N ***3.1.2.4.***	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას ესთეტიკის საგნობრივი ჯგუფში შემავალ საგნებში (ხელოვნება-მუსიკა) არ ჰყავს სერტიფიცირებული სპეციალისტები და 2025 წლის 11-16 ივლისის პერიოდში გამოცხადებული ჰქონდა ღია კონკურსი შესაბამისი კადრების შესარჩევად (იხ: https://teacherjobs.ge/83021; https://teacherjobs.ge/83020) . სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, გამოცხადებული ვაკანსიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში ღია კონკურსი რამდენჯერმე გამოაცხადოს, რათა დროულად უზრუნველყოს შესაბამისი კადრების შერჩევა და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 2025 წლის 10 ივლისიდან 2026 წლის 10 ივლისის ჩათვლით შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის სპეციალისტები შეარჩიოს მუსიკა-ხელოვნების საგნების სწავლებისას.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლის კუთვნილებაში არსებული შენობა-ნაგებობები , რომლებიც ავარიულია, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს სკოლის ტერიტორიაზე მყოფთათვის, კერძოდ: ამონაწერით საჯარო რეესტრიდან --საკადასტრო კოდი 37.06.34.063 დგინდება, რომ სკოლის სარგებლობაში არსებული დაზუსტებული ფართობია 19000.00კვ.მ, სკოლის ეზოს ტერიტორიაზე განთავსებულია 7 შენობა-ნაგებობა, მათ შორის: • სკოლის ეზოში მავთულბადით შემოსაზღვრულია და გამოყოფილია ძირითადი სასწავლო კორპუსიდან დაზიანებული, ნახევრად დანგრეული შენობა , საკადასტრო აზომვით ნახაზში ,,შენობა N02 - ყოფილი სასწავლო კორპუსი, რომელიც ორსართულიანია და საერთო ფართია 372,69 კვ.მ • სკოლის ძირითად სასწავლო შენობას მიშენებული აქვს სპორტული დარბაზი(შენობა N03-საერთო ფართი 199,1კვ.მ), რომელიც

		ავარიულია, დაკეტილია, სკოლის დერეფნიდან შესასვლელი კარი რკინის გისოსით არის დაცული და გარე პერიმეტრიდან ხის ფიცრებითაა ამოკეტილი. სპორტული დარბაზი უვარგისია გამოსაყენებლად, თუკი არ ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ამჟამად სკოლა მას არ იყენებს და სარგებლობს გარე სპორტული მოედნით. • სკოლის ეზოში დგას ნახევრად დანგრეული შენობა ყოფილი ,,მასწავლებელთა სახლი“ (შენობა N04-საერთო ფართი 97,3კვ.მ), რომელიც ძირითად სასწავლო შენობასთან ახლომდებარეა და შემოსაზღვრულია მავთულბადით და გამაფრთხილებელი წარწერებით • სკოლის ეზოში დგას დამატებითი შენობა ,,საქვაბე“(შენობა N06-საერთო ფართი 32,54 კვ.მ), რომელიც აღარ ფუნქციონირებს, შენობა დაზიანებულია და არ არის უსაფრთხო. მასზე დამონტაჟებულია რკინის დიდი საკვამური(მილი), შენობა შემოსაზღვრულია მავთულბადით და გამაფრთხილებელი ნიშნულებით. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში -2027 წლის 16 ივლისის ჩათვლით უზრუნველყოს ყველა პროცედურის დასრულება , რათა უზრუნველყოს სკოლის ეზოში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და დაიწყოს სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N... *2.1.2.3..*	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**: სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მიუთითა, რომ 2026 წლის 23 აპრილისათვის უზრუნველყოფს სასკოლო ლაბორატორიის კეთილმოწყობას და შესაბამისი რესურსებით აღჭურვას, რათა ადვილად მოხერხდეს კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების განხორციელება. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების დაცვით უზრუნველყოს: ა) გამწოვი კარადის და ცეცხლგამძლე ზედაპირის მოწყობა ბ) რეაქტივებითა და საჩვენებელი მოდელ-მოწყობილობებით აღჭურვა.
2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სკოლას ეძლევა რეკომენდაცია , წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მითითებული ვადების დაცვით(2026 წლის 23 აპრილი) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვა, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოს გამწოვი კარადისა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მოწყობა, რეაქტივებითა და საჩვენებელი მოდელ-მოწყობილობებით შეავსოს სასკოლო რესურსი, რათა საფრთხე არ შეექმნას კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სწავლის მიზნების შესაბამისია. პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის დამხმარე რესურსებს, რომელიც ბოლომდე არ აქვთ ასახული საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი N *2.2.2.4.*	**სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი**	სკოლას ესტეთიკის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების (ხელოვნება-მუსიკა) კურიკულუმების განხორციელებისათვის არ ჰყავს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული, სერტიფიცირებული სპეციალისტები, თუმცა მიმდინარე წლის ივლისში გამოცხადებული ჰქონდა ღია კონკურსი შესაბამისი კადრების შესარჩევად (იხ:

		https://teacherjobs.ge/83021; https://teacherjobs.ge/83020). სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად განსაზღვროს შესაბამისი კომპეტენციის ადამიანური რესურსის მოძიება და 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე კონკურსის წესით შეარჩიოს მუსიკისა და ხელოვნების სერტიფიცირებული მასწავლებლები.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.8.	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმის ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნისნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოწვევა

3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლას მიეცა რჩევა ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდზე, ასევე განაახლოს ყველა ის ინფორმაცია, რომელთა ცვლილებაც განახორციელა ექსპერტთა ვიზიტისას ისეთ დოკუმენტებში, რომლებიც განთავსებული ჰქონდა ვებგვერდზე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.2.3.2.	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს	სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს ერთ-ერთი სსსმ მოსწავლის 7 წლის წინ მიღებული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რათა ახალი სასწავლო წლისათვის შესამუშავებელი ინდივიდუალური გეგმები სრული სიზუსტით ასახავდეს მოსწავლის საჭიროებებს და მკაფიოდ განსაზღვრავდეს მიღწევად , რეალურ მიზნებს

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N... **2.1.2.2.**	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** სასურველია, საგან ,,ჩვენი საქართველოს“, ,,ისტორიის“, ,,გეოგრაფიისა“ და ,,მოქალაქეობის“ კურიკულუმის ჩარჩოებში საკითხები შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფდეს/ გაერთიანდეს. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. ***უცხოური ენები:*** . სკოლას მიეცა რჩევა, რომ I კლასის VII თავის სამიზნე ცნებებში, დაემატოს ცნება-**ენობრივი საშუალებები**. ხოლო II კლასის კურიკულუმში დაკორექტირდეს II თავის სამიზნე ცნებები**(ინგლისური ენა).** **სპორტი:** სასურველია სკოლამ საშულო საფეხურის კურიკულუმებში არსებული სასწავლო თემები წარმოადგინოს საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ტემების შესაბამისად, რათა მოხდეს შესწავლილი ტექნიკის დახვეწა/სრულყოფა.
ინდიკატორი N... *2.1.2.3..*	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს.

	სწავლის შედეგების მიღწევას	ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია კურიკულუმში დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გაღრმავება კონკრეტული მაგალითებითა და მეთოდური მინიშნებებით, რაც კიდევ უფრო გაამყარებს მასწავლებლის შესაძლებლობას, ეფექტურად მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**უცხოური ენები:** ორივე უცხო ენის მიხედვით წარმოდგენილ შემაჯამებელი (ტესტური) დავალების შეფასების რუბრიკებში, სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს, თუ რა კონკრეტული საკითხების ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია შეფასების რუბრიკების კონკრეტულ დავალებებთან მიმართება და დაკონკრეტება, რათა შეფასება იყოს მიზნობრივი, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული. ტესტური და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გაფართოება და მათი ადაპტირება დავალებების სირთულისა და მრავალფეროვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს სწავლების პროცესის უკეთ გააზრებას და მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის სრულფასოვან ასახვას.
2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია შემაჯამებელი და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც რეალურად ხორციელდება და გადმოგზავნილია მასალის სახით, აისახოს კურიკულუმში როგორც დაგეგმილი აქტივობები. ეს კიდევ უფრო გაამყარებს კურიკულუმის შესაბამისობას პრაქტიკასთან და გაზრდის დოკუმენტის გამჭვირვალობასა და გამოყენებადობას.

		სპორტი: სასურველია სკოლის მიერ საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები ისე იყოს დალაგებული, რომ თანმიმდევრულად და ეტაპობრივად მოხდეს ჯერ საბაზო საფეხურზე ტექნიკის შესწავლა ხოლო შემდგომში საშუალო საფეხურზე ტექნიკის დახვეწა/სრულყოფა.
2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას, რაც გაზრდის შეფასების სამართლიანობასა და სანდოობას.
2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმში აისახოს პრაქტიკაში გამოყენებული დამატებითი რესურსები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს მოსწავლეთა მოტივაციას, ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. კურიკულუმის ამგვარი გადახედვა

		გაუმჯობესებს დოკუმენტის სისწორეს და მეტი სიცხადით აჩვენებს რესურსების გამოყენების რეალურ პრაქტიკას.
2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;** სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 17 ივლისის წერილის -MES 3 25 0000880546 საფუძველზე , დანართების სახით ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის (შემდგომში - დაწესებულება) კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N878006), რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა ესთეტიკის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების (მუსიკა-ხელოვნება) ყველა კლასის შესწორებული- სრულყოფილი კურიკულუმები, სკოლის ეზოში განთავსებული ავარიული შენობების მავთულბადით გამოყოფილი სივცეებისა და გამაფრთხილებელი წარწერების აღმნიშვნელი ფოტო-მტკიცებულებები, მავთულბადეების შეძენის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ 2027 წლის 16 ივლისამდე სკოლა განახორციელებს ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟს. ასევე 2026 წლის 23 აპრილამდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ლაბორატორიაში განათავსებს გამწოვ კარადას და მოაწყობს ცეცხლგამძლე ზედაპირს, რეაქტივებითა და საჩვენებელი

მოდელ-მოწყობილობებით უზრუნველყოფს აღნიშნულ ლაბორატორიას. სკოლამ ასევე წარმოადგინა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში 2025 წლის 22 აპრილს გაგზავნილი წერილი MES 8 25 0000429948,რომლითაც ითხოვდა სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვას საჭირო რესურსებით. სკოლამ წარმოადგინა მუსიკისა და ხელოვნების ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული ღია კონკურსის მტკიცებულება https://teacherjobs.ge/83021 ; https://teacherjobs.ge/83020 და შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრა ვადები, რომ 2025 წლის 10 ივლისიდან 2026 წლის 10 ივლისამდე პერიოდში, ყველა შესაძლო რისკის გათვალისწინებით(მაგ: არავინ დაინტერსედეს რამდენჯერმე გამოცხადებული ღია კონკურსით) უზრუნველყოფს მუსიკისა და ხელოვნების ვაკანტურ საათებზე შესაბამისი სპეციალისტების შერჩევას.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რაც შესაბამისად აისახა საბოლოო დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის მისია და ხედვა წარმოდგენილია 2023 წლის 7 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში, რასაც ადასტურებს სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი და სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითრების გეგმის დოკუმენტი. სკოლის მისია ძირითადად შეესაბამება განათლების ეროვნულ მიზნებს და ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ინტერესებიდან, ტრადიციებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე აღზარდოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის,ღია სამოქალაქო საზოგადოების, კონკურენტუნარიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მოსწავლე-ახალგაზრდობა. სკოლის მისიის დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის დანიშნულება , რომ სკოლამ შეძლოს ინოვაციური, თანამშრომლობითი, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფით, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობის შექმნით, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვით თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, აგრეთვე ტოლერანტული თვისებების მატარებელი, ფიზიკურად და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდა, მოსწავლე–ახალგაზდობისათვის საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრისა და შესაბამისად საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის.

ხედვის დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის სურვილი, დაიკავოს ლიდერი სკოლის პოზიცია და გახდეს ე.წ. ,,ჰაბი დაწესებულება“ რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, **STEM საგნების , წიგნიერების, ევროპული ენებისა და პროფესიული განათლების.**

თვითშეფასების დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის ღირებულებები : **სამართლიანობა, გუნდურობა, თანამშრომლობა, ზრუნვა, ღიაობა.** სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის N6 სხდომაზე სკოლის სამეურვეო საბჭომ ცვლილებები შეიტანა სტრატეგიული განვითრების გეგმაში, რათა უფრო თანხვედრილი ყოფილიყო სკოლის ფილოსოფიასთან გრძელვადიანი მიზნები. აქვე აღვნიშნავ, რომ ტექნიკური შეცდომაა დაშვებული სამოქმედო გეგმის დოკუმენტში, რომელიც სამეურვეო საბჭოს წარედინა ამავე სხდომაზე, ის არა განვლილი პერიოდის (უკვე დასრულებული 2024-2025 სასწავლო წლის) ცვლილებები, არამედ ახალი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ინტერესებსა და ტრადიციებზე, ჯანსაღი ცხოვრების , დემოკრატიისა და თანასწორობის საკითხებზე. მისია და ხედვა სკოლას ეხმარება განსაზღვროს საკუთარი როლი თემში. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, ჯანსაღი და პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთ პატივისცემას. სკოლა ზრუნავს პედაგოგების პროფესიულ განვითარებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. მოსწავლეთათვის ტარდება სპორტული და საინფორმაციო-შემეცნებითი ღონისძიებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიას. სკოლას 2023 წლიდან აქვს შემუშავებული სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, დირექტორთან და სკოლის დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბრის ბრძანება N2-53-ის საფუძველზე შექმნილი სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული გეგმის შედგენისას სკოლის საჭიროებების გამოვლენის მიზნით მხოლოდ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებს დაეყრდნო სკოლა და კვლევის სხვა მეთოდები არ გამოუყენებია . როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სკოლის ერთ-ერთ საჭიროებად გამოიკვეთა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის არსებობის აუცილებლობა სკოლაში, რათა სტრატეგიული გეგმის განხორციელება და თავსებადობა სკოლის რეალურ გამოწვევებს მორგებოდა, მომზადებულიყო -ცვლილებების დოკუმენტი. 2025 წლის 26 ივნისს სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-6 საფუძველზე დამტკიცდა ცვლილებები სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიულ გეგმაში და განისაზღვრა 2025-2026 წ.სამოქმედო გეგმა

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კითხვარები შედგენილია, შევსებულია (დაწესებულებამ წარმოადგინა შევსებული კითხვარები) და სკოლის დირექტორის განმარტებით, გამოკითხულთა აზრი გათვალისწინებულია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის - გამოკრულია სკოლის დერეფანში, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს შინაგანაწესთან ერთად კლასების მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

,,სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლა“ სრულიად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №448 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო-სასწავლო გეგმა;**
- **სკოლის ფილოსოფია**
- **დირექტორის ბრძანება სკოლის მისისა და ხედვის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ;**
- **საჯარო რეესტრის ამონაწერი**
- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №448 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“**
- **სამეურვეო საბჭოს 2025წლის 26 ივნისის ოქმი N6**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის N1 სხდომაზე დამტკიცებულია ,,**სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის**“ დოკუმენტი, რომელიც აღწერს სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს, დაგეგმვის პროცესსა და პასუხისმგებელ პირებს,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურასა და ძირითად მოთხოვნებს. ერთი თავი ეთმობა სტრატეგიული დაგეგმვა-განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პროცესს.

   აღვნიშნავთ, რომ სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებული აქვს 2024 წლის 6 სექტემბერს, ხოლო სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბრს და განსაზღვრავს 2023-2030 წ.წ. პერიოდს. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 26 ივნისს, სამეურვეო საბჭოს N-6 სხდომაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ის დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N1 სხდომაზე. სტრატეგიული გეგმა თავიდანვე აღწერს სკოლის ფილოსოფიასა და აყალიბებს სტრატეგიულ მიზნებს. სკოლის ხედვის დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული STEM საგნების , წიგნიერების, ევროპული ენებისა და პროფესიული განათლების მიმართულებების მიხედვით სკოლის გაძლიერება

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის N1 სხდომაზე დამტკიცებულია სკოლის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა რომლის განხორციელების პერიოდი სრულდება 2025 წლის ივნისში. დოკუმენტში არ არის აღწერილი სკოლის მიერ 2025 წლის ივლის-აგვისტოში განსახორციელებელი აქტივობები. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და შესაბამისად აყალიბებს მიზნებსაც. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს წინაშე განიხილავენ გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხს, გამოკვეთენ პრიორიტეტებს და ითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობისას, რაც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმას. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26-27 ივნისს, პედაგოგიური საბჭოს სხდომა ჩანიშნული იყო 1-ელ ივლისს და სკოლის დირექტორთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად სწორედ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშს წარადგენს, აღინიშნა ისიც, რომ სკოლას მზად აქვს 2025-2026 წ.-ების სამოქმედო გეგმის განხორციელების კალენდარი, რომელიც გათვლილია 12-ივე თვეზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები-სტრუქტურული ერთეულები და შესრულების ვადები, არ არის გამოკვეთილი ამოცანები და საჭირო რესურსები.

<u>სკოლას მიეცა რჩევა, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ განსაზღვროს ამოცანები და საჭირო რესურსები , რათა ნათელი გახადოს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების რეალურობა.</u>

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ფილოსოფია**

- **სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა**
- **სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის სხდომის ოქმი N6**
- **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი**
- **სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 2023 წლის 7 სექტემბრის ოქმი N1**
- **სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 2024 წლის 6 სექტემბრის ოქმი N1**

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის სამეურვეო საბჭოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებული აქვს 2024 წლის 6 სექტემბერს. აღნიშნულ დოკუმენტში მე-6 თავი ეთმობა სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგს, მისი განხორციელების ეტაპებსა და მიღებული შედეგების ანალიზს. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკოლაში აქვთ მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მონიტორინგმა და შეფასებამ თუ რომელ შეკითხვებს უნდა გასცენ პასუხი და აღნიშნულია საორიენტაციო კითხვები:
   • სკოლამ მიაღწია თუ არა იმ ცვლილებას, რაც სურდა? თუ არა, რატომ ვერ იქნა მიღწეული?
   • რა უნდა შეიცვალოს სტრატეგიაში, რომ შედეგი იქნას მიღებული?
   დოკუმენტში მონოტორინგისა და შეფასების პროცესი/მექანიზმი ერთმანეთთან დაკავშირებულ სამ ეტაპადაა წარმოდგენილი:
   I- მონაცემთა შეგროვება - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, შემფასებელი (მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/პირები) აგროვებს/ენ იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის გრაფაში. რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად სტრუქტურირებული მიდგომა რესპოდენტების გამოკითხვისა და საჭირო ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებულ იქნება, როგორც ზეპირი, ისე წერითი საკომუნიკაციო ფორმა შემდეგი მეთოდების გამოყენებით: სიღრმისეული ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფები, დოკუმენტაციის ანალიზი.
   თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი/სტრუქტურული ერთულ(ებ)ი აგროვებენ შესრულების ინდიკატორის გრაფაში მითითებულ შესრულების მტკიცებულებებს და აწვდიან მას.
   II - შეგროვებული მონაცემების ანალიზი - ეს პროცესი გულისხმობს პირველ ეტაპზე მოძიებული ინფორმაციის ანალიზს შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში.აღნიშნულ დოკუმენტში ნათლადაა ჩამოყალიბებული, რომ სკოლის დირექტორი

განიხილავს და შეაჯამებს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებს (შუალედური/წლიური), ამზადებს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შუალედურ (3 წლიანი) ანგარიშსა და შემაჯამებელ ფინალურ ანგარიშს, ამასთან შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს სამეურვეო საბჭოს შემდგომი რეაგირებისათვის.

III- მიღებულ შედეგებზე რეაგირება - ამ ეტაპზე სკოლა უმთავრესად მიიჩნევს გეგმაში დასახული მიზნების მიღწევას და მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-6 თავში (მონიტორინგი და შეფასება) განმარტავს , რომ პრობლემების გამოვლენისას აუცილებელია გეგმის ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის ცვლილებები, თუკი მონიტორინგისას რომელიმე ამ მიმართულებით გამოვლინდა საჭიროება. ნებისმიერი ცვლილება დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე. დოკუმენტში ასახულია, რომ აუცილებელია პრობლემის სირღმისეული შესწავლა, მიღებული შედეგების სიღრმისეული შეფასება და ცვლილებების შეტანა მისი გამოვლენილი საჭიროებების გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით. დოკუმენტი აღწერს ასევე პროცედურებსაც, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშის შეფასების შედეგები და მისგან გამომდინარე რეკომენდაციები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, სადაც განხილვისა და მოსაზრებების შეჯერების შედეგად ხდება შესაბამისი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლამ 2026 წლის 26 ივნისს სამეურვეო საბჭოს N6 სხდომაზე დაამტკიცა ცვლილებები სტრატეგიული განვითარების გეგმაში და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ცვლილებების საფუძვლად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგები დაასახელა. სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრები და არსებული რესურსები ცხადყოფს, რომ ყურადღება ეთმობა გამოკვეთილი მიმართულებების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლაში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26-27 ივნისს, როგორც სკოლის გუნდთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, სწორედ ამ პერიოდში ამზადებდა სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების აღმწერ დოკუმენტს. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების

განხორციელების მონიტორინგისას გამოვლინდა გარკვეული არათანხვედრილობა სკოლის ფილოსოფიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის და სკოლას მზად ჰქონდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც დაამტკიცა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის N6 სხდომაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლამ 2026 წლის 26 ივნისს სამეურვეო საბჭოს N6 სხდომაზე დაამტკიცა ცვლილებები სტრატეგიული განვითარების გეგმაში და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ცვლილებების საფუძვლად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგები დაასახელა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 2024 წლის 6 სექტემბრის ოქმი N1**
- **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი**
- **სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და 2024-2025წ.წ. სამოქმედო გეგმები**
- **სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის ოქმი N6**
- **2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-22 ბრძანებით დამტკიცებულ ,, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში, სკოლასა და სკოლის თანამშრომლებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ეფუძნება კანონს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ . სკოლაში 2025 წლის 26 ივნისის მდგომარეობით დასაქმებულია 28 ადამიანი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,დანართი 19-ის“ სახით სკოლის სტრუქტურა, სადაც მოცემულია სკოლის საშტატო და სტრუქტურული ერთეულების დასახელება. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს შემდეგი საშტატო ერთეული და სტრუქტურული ერთეულები:

   სკოლის დირექცია - დირექტორი, ბუღალტერი.

   ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი.

   არასაშტატო ერთეულები - 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, ექიმი, 1 წრის ხელმძღვანელი, 1 მუშა, 1 სსსმ პირის ასისტენტი.

   სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა;

   სკოლას ადგილზე ვიზიტისას მიეცა რჩევა ,,სკოლის სტრუქტურის“ სქემაში იერარქიულად შესაბამისად განალაგოს თითოეული საშტატო ერთეულისა და სტრუქტურული ერთეულის ადგილი, რათა სწორად იკითხებოდეს სკოლის სტრუქტურა , იმავე დღეს შესაბამისი დოკუმენტი წარმოადგინა სკოლამ, რომელსაც ვებგვერდზეც შეცვლის და განათავსებს საბოლოო ვარიანტს.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება დარეგულირებულია შრომითი ხელშეკრულებებით, კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და ასევე სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-22 ბრძანებით დამტკიცებულ ,, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით. დელეგირებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ეფექტურობას. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის ბრძანება N1/კ-01-ის საფუძველზე და შრომითი

ხელშეკრულების პირობებით დასაქმებულია სკოლაში. ის სამედიცინო სფეროში მუშაობის 35 წლიანი გამოცდილებითაა, ექიმი - პედიატრის კვალიფიკაციით, მოპოვებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი N006742 ნებადართული სპეციალობით,,საოჯახო მედიცინა“. სკოლის ექიმის პირად საქმეში სხვა სავალდებულო დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია ცნობები': ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ რომ არ არის მსჯავრდებული და ცნობა ნასამართლობის შესახებ, როგორც არ არის ნასამართლევი და ძებნაში არ იმყოფება. სკოლას სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგით, შტატგარეშე თანამშრომლის სტატუსით სკოლის დირექტორის 2022 წლის 1-ელი ივნისის ბრძანება N 1/კ-05-ის საფუძველზე დასაქმებული ჰყავს ცეკვის წრის ხელმძღვანელი, რომლის პირად საქმეში არ მოიპოვება სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები. 2 თანამშრომლის გარდა , სკოლაში ვიზიტისას სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებში არ მოიპოვებოდა ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, თუმცა სკოლამ უზრუნველყო ვიზტის მეორე დღესვე ამ საკითხის მოგვარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის სტრუქტურა**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიულიმხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიულიმხარდაჭერის ჯგუფის დებულება**
- **პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ბრძანება და დებულება**
- **სკოლის მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება**
- **საშტატო განრიგი**
- **სკოლის ბუღალტერთან გაფორმებული ხელშეკრულება**
- **,, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანება**
- **თანამშრომელთა პირადი საქმეები.**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-22 ბრძანებით დამტკიცებულ ,, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით. შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე). დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ყოველი ცვლილება, რომელიც შედის შინაგანაწესში არაუგვიანეს 5 დღეში ეცნობება დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების საშუალებით (შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულის დებულებები, შრომითი ხელშეკრულებები). სკოლის დირექტორის მონაწილეობით შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ინფორმაციას. შემოწმდა სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები. სკოლის ექიმს, რომელიც დასაქმებულია 2023 წლიდან , პირად საქმეში აქვს სპეციალური უწყების მიერ გაცემული ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი დანაშაულის შესახებ. თავდაპირველად არცერთი თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, თუმცა სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მოაგვარა ეს საკითხი.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის ბრძანება N 2-27 -ით დამტკიცებული ,,სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცებისა“ და სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-22 ბრძანებით დამტკიცებული ,, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულია სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებული მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხდება "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი. წარმოდგენილი საკონკურსო მასალებით, ვაკანტურ ადგილზე, კანონმდებლობის შესაბამისად, ცხადდება გარე კონკურსი, მტკიცდება საკონკურსო კომისია, წინასწარ შემუშავებულია კითხვები გასაუბრებისთვის. დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვით (pedagogi.ge) და სკოლის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხდება ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება , განცხადება იკვრება სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო სივრცესა და შესასვლელ კარზე. სკოლაში ხელოვნებასა და მუსიკას შეთავსებით ასწავლიან სხვა საგნების პედაგოგები, შესაბამისად მათ ამ საგნებში არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა მტკიცებულება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ,,მასწავლებელთა ვაკანსიის" სპეციალურ სივრცეში ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ (იხ: https://teacherjobs.ge/83021; https://teacherjobs.ge/83020) **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, ყველა შესაძლო რისკის ალბათობის გათვალისწინებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 2025 წლის 10 ივლისიდან 2026 წლის 10 ივლისის ჩათვლით შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის სპეციალისტები შეარჩიოს მუსიკა-ხელოვნების საგნების სწავლებისას.**

ზოგადად, სკოლაში კონკურსით მიღებულ თანამშრომელთან თავდაპირველად გამოსაცდელი ვადით ფორმდება ხელშეკრულება და უფლება-მოვალეობების შესრულების პროცესში სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს თანამშრომლის ადაპტაციას ახალ გარემოსთან. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,,თანამშრომელთა ადაპტაციის წესი"

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 28 თანამშრომელი, მათ შორის 3 წამყვანი მასწავლებელი, 13-უფროსი მასწავლებელი, 1-მოწვეული მასწავლებელი, 1--საქმისმწარმოებელი 1-ბიბლიოთეკარი, 1-სპეც მასწავლებელი, 1-ბუღალტერი, 1-სსსმმ ასისტენტი, 1 --წრის ხელმძღვანელი, 1-სკოლის ექიმი, 2-დარაჯი, 2-დამლაგებელი. ზემოთ ჩამოთვლილი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა **<u>სკოლას ესთეტიკის საგნობრივი ჯგუფში შემავალ საგნებში (ხელოვნება-მუსიკა) არ ჰყავს სერტიფიცირებული სპეციალისტები.</u>** სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მტკიცებულებად წარმოადგინა ინფორმაცია , რომ 2025 წლის 11-16 ივლისის პერიოდში გამოცხადებული ჰქონდა ღია კონკურსი შესაბამისი კადრების შესარჩევად (იხ: https://teacherjobs.ge/83021;

https://teacherjobs.ge/83020) . **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, გამოცხადებული ვაკანსიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში ღია კონკურსი რამდენჯერმე გამოაცხადოს, რათა დროულად უზრუნველყოს შესაბამისი კადრების შერჩევა და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 2025 წლის 10 ივლისიდან 2026 წლის 10 ივლისის ჩათვლით შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის სპეციალისტები შეარჩიოს მუსიკა-ხელოვნების საგნების სწავლებისას.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. სკოლის დირექტორის განმარტებით, დირექცია საჯაროობის, სამართლიანობის, თანასწორობის პრინციპების დაცვით, თანამშრომლების შესაძლებლობების გათვალისწინებით ხელმძღვანელობს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათედრებზე პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს და ჩართულები არიან კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ერთად გეგმავენ პროექტებს. ეს ერთობა კარგად გამოიკვეთა საგნობრივ ექსპერტებთან საგნობრივი ჯგუფების თანამშრომლობისას. სკოლაში უმაღლესი არჩევითი ორგანოა სამეურვეო საბჭო, დოკუმენტურად გაწერილია სამეურვეო საბჭოს უფლება - მოვალეობები. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, რომელთა ფუნქციონირება ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2020 წლის 2 დეკემბრის N2-45 ბრძანებით. . ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და ახორციელებენ უკუკავშირს, აზიარებენ გამოცდილებას და ხელს უწყობენ სხვა მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებასაც. მაგ: სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა გაზეთ ,,ახალ განათლებაში“ 2024 წლის 26 სექტემბერს გამოაქვეყნა სტატია ,,როლური თამაშები გარემოსდაცვითი წიგნიერების ამაღლების საქმეში“ გამოაქვეყნა სასკოლო სცენარი ,,ჩვენ ეკოლოგები ვართ“ და თავისი სასკოლო პრაქტიკა გაუზიარა თემით დაინტერესებულ კოლეგებს. სკოლას აქვს გამოცდილება სამუშაო შეხვედრებში კოლეგების მონაწილეობისა, გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობისა. სკოლაში ვიზიტისას თვალსაჩინო იყო მოსწავლეთა ნამუშევრები და ხელით შექმნილი რესურსები, რომლებიც სხვადასხვა საგნისა და შინაარსის მიზნობრივ რესურსებს წარმოადგენდა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის შინაგანაწესი**
- **სკოლის დირექტორის 2020 წლის 2 დეკემბრის N2-45 ბრძანება „ ხარისხის გავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექნის შესახებ“**
- **სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-22 ბრძანება „ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“**
- **სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის ბრძანება N 2-27 - „სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“**
- **სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები**
- **თანამშრომელთა ადაპტაციის წესი**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ემსახურება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. შემუშავებულია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები (დებულება), გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების

ფორმები და ა.შ. სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება ჯგუფის წევრების მიერ. თანამშრომლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადიან ტრენინგებს (მაგალითად, ბუღალტერი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით გადის ტრენინგებს და წარმატებით ნერგავს პრაქტიკაში). აღსანიშნავია, რომ სკოლას შემუშავებული არ აქვს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმი , რომელიც ითვალისწინებს თვითშეფასების ჩეკლისტებს, რათა დადგინდეს თითოეული მასწავლებლის პროფესიული საჭიროება. როგორც სკოლის დირექტორთან ინტერვიუში აღინიშნა, მასწავლებლის გარდა სხვა პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს სკოლა სამომავლოდ შეიმუშავებს. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნავს, რომ ამ მიზნით შექმნის და მაღალკვალიფიციური მასწავლებებით დააკომპლექტებს სამუშაო ჯგუფს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლაში დასაქმებული პირების საჭიროებების კვლევა და დადგენა ხდება საგნობრივ კათედრებზე, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე, მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ანალიზითა და თვიტშეფასების კითხვარებით.

კლასის დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე დგინდება კლასების მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ზოგადი შედეგები/მიღწევები, რომელიც განიხილება კათედრის სხდომაზე, გამოვლენილი საჭიროებების გასაუმჯობესებლად იგეგმება შესაბამისი აქტივობები (მეცადინეობები, შეხვედრები, სასკოლო პროექტები და სხვა), რაც შესაბამისად ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ. ეს ხელს უწყობს, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამ მიზნით, სკოლას სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე შექმნილი აქვს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფი. მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს პედაგოგთა კარიერულ წინსვლას.

სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან და ხონის მუნიციპალიტეტში შემავალ ორ სკოლასთან (ხონის N1 საჯარო და ნამაშევის საჯარო სკოლები). აღნიშნული მემორანდუმები ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია სკოლის პერსონალის კარიერული ზრდისა.

სკოლის სხვა პერსონალთან (გარდა ბუღალტრისა) ნაკლებად დგინდება მათი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, მაგრამ სამომავლოდ, სკოლა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით გეგმავს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა. კერძოდ, სკოლაში მოქმედ კოლეგიალურ ორგანოებში, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. როგორც სკოლის დირექციამ განმარტა, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. დარეგულირებულია სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი. მაგ., ახალი თანამშრომლის წარდგენა, კოლეგების საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და სხვა.

სკოლას შემუშავებული აქვს ახალ თანამშრომელთა გარემოსთან ადაპტაციის წესის დოკუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლაში შექმნილია სივრცეები, სადაც ხდება მასწავლებლების ინიციატივებისა და იდეების წარმოდგენა და რეალიზება. სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით (მაგალითად, სამასწავლებლოში არის ლეპტოპები, ტელევიზორი, ქსეროქსის 2აპარატი, შავ-თეთრი და ფერადი. სკოლას ასევე აქვს 1ც.დრონი). სკოლა ეხმარება მასწავლებლებს დაესწრონ სხვადასხვა სახის შეხვედრებს, მხარს უჭერს თანამშრომელთა ინოვაციურ წამოწყებებს და წაახალისებს მათ. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში. დაწესებულებაში გამოყენებულია წახალისების შემდეგ ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლა სასწავლო წლის მანძილზე, საგნობრივი კათედრების მიმართვის საფუძველზე შეისყიდის საჭირო საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებსაც მიზნობრივად იყენებენ მასწავლებლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმი N1;**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;**

- **დამრიგებლების ანგარიში;**
- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები**
- **ახალ თანამშრომელთა გარემოსთან ინტეგრაციის წესი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის შინაგანაწესის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის ბრძანება N 2-

27 -ით განსაზღვრულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება დარეგულირებულია შრომითი ხელშეკრულებებით, კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-22 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

სკოლაში შექმნილია პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელსაც აქვს სამოქმედო გეგმა, დებულება, დასწრების ფორმები, შეფასების რუბრიკები და დასწრების ოქმები.დელეგირებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ეფექტურობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-20 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართვეობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე გადმოგზავნილ აღნიშნულ დოკუმენტში იყო გარკვეული ხარვეზები ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით (ნაწილობრივ მორგებული იყო პროფესიულ სასწავლებელს) და სკოლას ექსპერტების ადგილზე ვიზიტისას მიეცა რჩევა, ცვლილებები შეეტანა 2-20 ბრძანებაში, რათა ზუსტად განესაზღვრა და თავიანთ სკოლაზე მორგებული ყოფილიყო ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. სკოლამ დაუყონებლივ ჩაასწორა დოკუმენტში ასახული შეუსაბამობა და შეიტანა ცვლილებები აღნიშნულ ბრძანებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. იმ შემთხვევებზე, რომელთა განხილვაც არ განეკუთვნება დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილებას, განიხილავს სკოლის დირექტორი და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. გასაჩივრების სისტემა არის გამჭვირვალე. ამასთანავე, დისციპლინური სახდელის ადრესატს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის დაკისრებული სახდელი შესაბამის ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლას ადგილზე ვიზიტისას მოვთხოვოთ დოკუმენტი საჩივრების განხილვისა და გასაჩივრების წესის თაობაზე. სკოლაში შემუშავებულია და ვებგვერდზეც გამოქვეყნებულია სკოლაში განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, მოსწავლის,მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებული პირებისა და სასკოლო საზოგადოების უფლებების დასაცავად სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შექმნილია სკოლის შინაგანაწესი (რომელიც არეგულირებს სასკოლო პერსონალის, მოსწავლეთა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლება-მოვალეობებს (სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის) . სკოლაში ასევე შექმნილია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის ბრძანება N2-27**
- **სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის ბრძანება N2-20**
- **სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის ბრძანება N2-22**
- **შინაგანწესი**
- **მოსწავლის,მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი**
- **სკოლის ვებგვერდი**
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექტორის განმარტებით, საჯარო და მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის ფოიეში საინფორმაციო სივრცეში. გარდა ამისა სკოლა იყენებს messenger ჯგუფებს (პერსონალისთვის, კათედრებისთვის, კლასებისთვის, მშობლებისთვის), აქტიურად გამოიყენება სკოლის ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი, კლასის კრებები, საინფორმაციო შეხვედრები, სატელეფონო შეტყობინებები და ზარები. სკოლააქვსვებგვერდი.სკოლააქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ის დახურულ ჯგუფებს, მესენჯერს TEAMS-ის სკოლა იყენებს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდს, რათა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე https://skolebi.emis.ge/ და ელექტრონულ ფოსტას: dedalauri@mes.gov.ge. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ის დახურულ ჯგუფებს, TEAMS-ის ჯგუფებს. ესენი წარმოადგენს სკოლის გარე კომუნიკაციის ძირითად წყაროებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის დროული გავრცელებისა და უკუკავშირის პროცესების ეფექტიანობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა. კერძოდ, სკოლაში მოქმედ კოლეგიალურ ორგანოებში, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში , გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. როგორც სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა , სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან ერთი წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი ასევე არის სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები (2 მოსწავლე, 2 მასწავლებელი, 2 მშობელი) არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

აღსანიშნავია, რომ სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მეოთხე კლასის მშობლებს თავაზობს მინიმუმ 2 უცხო ენას, რომელთაგან არჩევანს აკეთებს თავად მშობელი. ამ ტიპის ჩართულობაც სასკოლო გადაწყვეტილებებში ზრდის მოსწავლეთა მშობლების ნდობას სკოლისადმი და ინფორმირებულობას სკოლაში მიმდინარე პროცესებისადმი. სკოლაში მნიშვნელოვანია

მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება და ის რჩევები და გამომდინარე გადაწყვეტილებები რომლებიც ხელს უწყობენ სკოლის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სტრუქტურული ერთეულების დებულებები**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმი**
- **პედაგოგიური საბჭოს ოქმი**
- **სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა**
- **სკოლის მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება**
- **მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი**
- **მშობელთა კრების ოქმი უცხო ენის არჩევის შესახებ**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას თავის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისთვის შემუშავებული აქვს:

- ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, მათ შორის უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შეთანხმების წერილი MIA 2500886025 25.03.2025წ.)
- სკოლას 2025 წლის 12 მარტს გაგზავნილი აქვს წერილი MES 0 25 0000269317 უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ, ამ მიმართულებით შეთანხმებული დოკუმენტი სკოლას არ აქვს.სკოლას შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქვს, რომ 2026 წლის 12 მარტის ჩათვლით უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მიღებას, **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია , მაქსიმალური ყურადღება დაუთმოს აღნიშნული საკითხის დროულად მოგვარებას და მითიტებულ ვადებში შესაბამისი დასკვნის მიღებას.**
- სკოლას მოპოვებული აქვს ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა N002141925 (07.04.2025წ.)

სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა მორიგეობა. მასწავლებლები გაკვეთილების მიმდინარეობისას აკონტროლებენ, არ დარჩეს არცერთი მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის მიღმა და თუ მსგავსი დაფიქსირდება, არ დარჩეს ისინი მეთვალყურეობის გარეშე. სკოლას ჰყავს კარისკაცი, რომელიც აკონტროლებს შენობაში შემომსვლელებს, აფიქსირებს მათი შემოსვლისა და გასვლის დროებს.სკოლა ელოდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გამოხმაურებას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისა და შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.სკოლის შენობას აქვს ოთხი მოქმედი გასასვლელი კარი, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გამოყენებადია. სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დასამონტაჟებელია კვამლის დეტექტორები, ვიდეო კამერები და ავარიული სახანძრო სიგნალიზაცია. სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე ავარიული შენობა, რომლებიც ექსპერტთა ვიზიტისას მიღებული რჩევის საფუძველზე იმავე დღეებში წითელი ლენტებითა და გაფრთხილების ნიშნებით შემოსაზღვრა სკოლამ, მაინც უსაფრთხო არ არის სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანებისთვის. კერძოდ, საუბარია შემდეგ შენობა-ნაგებობებსა და ფართზე: ამონაწერით საჯარო რეესტრიდან --საკადასტრო კოდი 37.06.34.063 დგინდება, რომ სკოლის სარგებლობაში არსებული დაზუსტებული ფართობია 19000.00კვ.მ, სკოლის ეზოს ტერიტორიაზე განთავსებულია 7 შენობა-ნაგებობა. წარმოდგენილი ამონაწერის მომზადების თარიღია 25.07.2013 წ., ადგილზე ვიზიტისას და ფაქტობრივი მდგომარეობით სკოლის ეზოში ამჟამად დგას 6 სხვადასხვა ზომის შენობა-

ნაგებობა, მათ შორის მხოლოდ ერთი არის კარგ მდგოარეობაში (სკოლის ძირითადი შენობა-ნაგებობა), 1--სახანძრო უსაფრთხოების ყოფილი აუზი, ამოშენებული სპეციალურად, რომელიც ახლა ბალახითაა დაფარული. სკოლის ძირითადი შენობის გარდა , სხვა ყველა პრობლემების გამომწვევი შეიძლება გახდეს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებისთვის.

სკოლის ძირითადი შენობა სამსართულიანია (საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით შენობა N01-- სკოლის ძირითადი შენობა-საერთო ფართით 1243,79კვ.მ (სარდაფი, ფართი 303,4კვ.მ; I სართული- ფართი 322,69 კვ.მ; II სართული -ფართი 322,71 კვ.მ; III სართული-ფართი 294,99კვ.მ);

სკოლის კუთვნილებაში არსებული შენობა-ნაგებობები , რომლებიც ავარიულია, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს სკოლის ტერიტორიაზე მყოფთათვის, კერძოდ: ამონაწერით საჯარო რეესტრიდან --საკადასტრო კოდი 37.06.34.063 დგინდება, რომ სკოლის სარგებლობაში არსებული დაზუსტებული ფართობია 19000.00კვ.მ, სკოლის ეზოს ტერიტორიაზე განთავსებულია 7 შენობა-ნაგებობა, მათ შორის:

- სკოლის ეზოში მავთულბადით შემოსაზღვრულია და გამოყოფილია ძირითადი სასწავლო კორპუსიდან დაზიანებული, ნახევრად დანგრეული შენობა , საკადასტრო აზომვით ნახაზში ,,შენობა N02 -ყოფილი სასწავლო კორპუსი, რომელიც ორსართულიანია და საერთო ფართია 372,69 კვ.მ
- სკოლის ძირითად სასწავლო შენობას მიშენებული აქვს სპორტული დარბაზი(შენობა N03-საერთო ფართი 199,1კვ.მ), რომელიც ავარიულია, დაკეტილია, სკოლის დერეფნიდან შესასვლელი კარი რკინის გისოსით არის დაცული და გარე პერიმეტრიდან ხის ფიცრებითაა ამოკეტილი. სპორტული დარბაზი უვარგისია გამოსაყენებლად, თუკი არ ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ამჟამად სკოლა მას არ იყენებს და სარგებლობს გარე სპორტული მოედნით.
- სკოლის ეზოში დგას ნახევრად დანგრეული შენობა ყოფილი ,,მასწავლებელთა სახლი“ (შენობა N04-საერთო ფართი 97,3კვ.მ), რომელიც ძირითად სასწავლო შენობასთან ახლომდებარეა და შემოსაზღვრულია მავთულბადით და გამაფრთხილებელი წარწერებით
- სკოლის ეზოში დგას დამატებითი შენობა ,,საქვაბე“(შენობა N06-საერთო ფართი 32,54 კვ.მ), რომელიც აღარ ფუნქციონირებს, შენობა დაზიანებულია და არ არის უსაფრთხო. მასზე დამონტაჟებულია რკინის დიდი საკვამური(მილი), შენობა შემოსაზღვრულია მავთულბადით და გამაფრთხილებელი ნიშნულებით.

შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ეზოში განთავსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც უფუნქციოა და ავარიული, სკოლამ გამოყო მავთულბადეებითა და გამაფრთხილებელი ნიშნულებით, რათა დაიცვას ეზოში მყოფ ადამიანთა უსაფრთხოება, თუმცა ეს არ ნიშნავს აღნიშნული საკითხის ბოლომდე მოგვარებას. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში -2027 წლის 16 ივლისის ჩათვლით უზრუნველყოს ყველა პროცედურის დასრულება , რათა უზრუნველყოს სკოლის ეზოში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და დაიწყოს სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.**

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მოწყობილია ექიმის კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, მარაგებითა და კანონმდებლობით დადგენილი საჭირო მედიკამენტებით. სკოლის ექიმი უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. მოსწავლეები საჭიროებისამებ იყენებენ ექიმის მომსახურეობას. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, მოწესრიგებულია გარემო, დაცულია ჰიგიენის ნორმები. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის ბრძანება N1/კ-01-ის საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულების პირობებით დასაქმებულია სკოლაში. ის სამედიცინო სფეროში მუშაობის 35 წლიანი გამოცდილებითაა, ექიმი -პედიატრის კვალიფიკაციით, მოპოვებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი N006742 ნებადართული სპეციალობით,,საოჯახო მედიცინა“. სკოლის ექიმის პირად საქმეში სხვა სავალდებულო დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია ცნობები’: ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ რომ არ არის მსჯავრდებული და ცნობა ნასამართლობის შესახებ, როგორც არ არის ნასამართლევი და ძებნაში არ იმყოფება.სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის ბრძანება N1/კ-01-ის საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულების პირობებით დასაქმებულია სკოლაში. ის სამედიცინო სფეროში მუშაობის 35 წლიანი გამოცდილებითაა, ექიმი -პედიატრის კვალიფიკაციით, მოპოვებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი N006742 ნებადართული სპეციალობით,,საოჯახო მედიცინა“. სკოლის ექიმის პირად საქმეში სხვა სავალდებულო დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია ცნობები’: ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ რომ არ არის მსჯავრდებული და ცნობა ნასამართლობის შესახებ, როგორც არ არის ნასამართლევი და ძებნაში არ იმყოფება. სკოლის ექიმი აწარმოებს ჟურნალებს მომართვიანობის აღრიცხვის, შეძენილი და გახარჯული მედიკამენტების აღრიცხვის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი,რომელიც განსაზღვრულია სკოლის დირექტორის 2019 წლის 28 თებერვლის ბრძანება N2-08-ის საფუძველზე, სკოლას, ასევე, დირექტორის 2018 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება N2-38-ის საფუზველზე განსაზღვრული ჰყავს მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ უკონტაქტო დათვალიერებას სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის

მიზნით. სკოლას მანდატური არ ჰყავს. შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირთან ერთად არეგულირებს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. შემუშავებული და დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების წესი) და გამოყოფილია ამ წესის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. სკოლაში ეწყობა ნამუშევრების გამოფენა, სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალიზაციას.სკოლის დერეფნები, საკლასო ოთახები მოსწავლეთა ნამუშევრებითა და საინტერესო სასწავლო რესურსებითაა წარმოდგენილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით 2025 წლის12 მარტს სკოლის დირექტორის ბრძანება N2-07-ის საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებულია

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი. დამლაგებელებს აქვს მათი სამუშაო სივრცე განსაზღვრული. სკოლა ერთცვლიანია და მათ საკმარისი დრო აქვთ დასუფთავებისათვის. სველი წერტილების დასუფთავება მიმდინარეობს საჭიროებისამებრ დღის მანძილზე შესრულებული სამუშაოების ხარისხს, სასაპნეებისა თუ სხვა მარაგების შევსებას ადგილზე, ოთახების, დერეფნისა და სველ წერტილების სისუფთავეს მეთვალყურეობას უწევს სკოლის ექიმი.

თვალსაჩინო ადგილებში გამოკრულია ხელის დაბანის და ჰიგიენის წესების დაცვის ინსტრუქციები. სკოლა უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით, სკოლის ეზოში არის ჭა, დადგმულია ავზი. სასმელი წყალი სკოლას მიეწოდება ჭიდან, სკოლაში სამივე სართულზე განთავსებულია წყლის დისპენსერები. სკოლას აქვს დასკვნა სასმელი წყლის ვარგისიანობის შესახებ და სანიტარულ - ჰიგიენური საშუალებით მუშავდება სკოლის პირველ სართულზე განთავსებული სველი წერტილები (2 კაბინა გოგონებისთვის, 2--ვაჟების , 1 ადაპტირებული სველი წერტილი , 2 -თანამშრომელთა სარგებლობისთვის) დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები, თხევადი საპნები, ხელის საშრობი ქაღალდი და ურნები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში სკოლის დირექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება N2-02-ის საფუძველზე განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მოცემების დაცვაზე. სკოლის დირექტორთან გასაურებისას აღინიშნა, რომ სკოლის წინაშე არსებობს გარკვეული ტიპის გამოწვევები, მაგალითად სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება, თუმცა სკოლა მხოლოდ მშობლის თანხმობის შემთხვევაში ავრცელებს მოსწავლეთა მონაცემებს. სკოლას აქვს მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული წერილობითი თანხმობის ფორმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის და საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლის ხელთ არსებული მონაცემები დაცულია შემთხვევითი, ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოქვეყნებისგან. საქმისწარმოებით წესით განსაზღვრულია დაცვის მექანიზმები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სკოლასთან ერთად უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არა ავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას, მის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესაბამისად სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ. იგი მონიტორინგს უწევს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავებას, ასევე ამოწმებს ელექტრონულ ჟურნალებს, მათში შეტანილ მოსწავლეთა მონაცემებს, რათა დროულად მოხდეს მასწავლებლის მიერ ელექტრონული ჟურნალის წარმოება, ასევე მონიტორინგს უწევს რამდენად შესრულებულია მოსწავლეთა მონაცემების დაცვის წესები. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

<u>რჩევა: უზრუნველყოს სკოლამ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოწვევა.</u>

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პ/პირის ბრძანება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ბრძანება სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება
- ბრძანება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობისა და ექსპლოატაციის შესახებ.
- სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით სკოლის მიწერილობა
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის ძირითადი კორპუსი სამსართულიანი შენობაა, სკოლას ასევე აქვს სარდაფიც, რომელიც დაკეტილია და შენობის შიდა სივრციდან ჩასასვლელები დაცულია რკინის გისოსებით. სკოლის შენობა სარეაბილიტაციოა, სკოლის ხარჯებით მოწესრიგებულია ორი სართული,აღჭურვილია საჭირო ინვეტარით, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სკოლას საერთო ჯამში აქვს 150 სასკოლო მერხი და სკამი, რომელთა გამოუყენებელი ნაწილი დასაწყობებულია. თვითშეფასების ფორმაში სკოლას განაცხადი აქვს 169 მოსწავლეზე, საჭიროების შემთხვევაში ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელშეწყობით სკოლა მუნიციპალიტეტის სხვა სკოლებიდან დროებით სარგებლობაში მიიღებს საჭირო 19 მერხსა და სკამს ან/და მიმართავს საქართველოს განათლების , მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. სკოლაში ამჯამად სწავლობს 57 მოსწავლე . ამ ეტაპზე სკოლის მდგომარეობა საჭირო მნიშვნელოვანი რესურსების მიხედვით დამაკმაყოფილებელია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ორიენტირებულია სასკოლო გარემოს უკეთესად მოწყობაზე, რათა უზრუნველყოს თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის კომფორტულ და უსაფრთხო სივრცე. სკოლის შენობის სამი სართულიდან მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია 2 სართული, ხოლო მესამე სართული საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლაში არ არის სააქტო დარბაზი, სკოლას აქვს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, რომელიც არის სარეაბილიტაციო და ავარიულ მდგომარეობაში, გარე სტადიონი ანაცვლებს სპორტულ დარბაზს და სპორტის გაკვეთილები ტარდება სწორედ გარე მოედანზე. სკოლას აქვს ბევრი სპორტული მიღწევის დამადასტურებელი თასი და სერტიფიკატი მძლეოსნობაში. სკოლაში არის სამასწავლებლო და სხვა. სკოლის სველი წერტილი, რომელიც ამასთანავე არის ადაპტირებული მდებარეობს პირველ სართულზე და მოწესრიგებულია ყოველმხრივ . ბიბლიოთეკით სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სასკოლო საზოგადეობა არ არის შეზღუდული ისარგებლოს სკოლაში არსებული სერვისებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

   სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს ერთი ბიბლიოთეკარი და სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის ბრძანება N2-19-ის საფუძველზე დამტკიცებული აქვს სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ბიბლიოთეკის მუშაობის, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, მკითხველთა უფლება-ვალდებულებები, ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების, მათ შორის წიგნადი ფონდის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლის შენობა სამსართულიანია, ცენტრალური შემოსასვლელთან არის ერთსაფეხურიანი კიბე, მოწყობილია პანდუსი. სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი,რომელიც რესურსოთახთან ახლომდებარეა და განთავსებულია პირველ სართულზე. რესურსოთახი აღჭურვილია მოსწავლისა და მასწავლებლისთვის საჭირო რესურსებით (სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოებით).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

   სკოლის ძირითადი შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის შემოღობილი ეზო, გარე მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, , ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო ქმნის შესაძლებლობას მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, ხშირად იმართება საინტერესო ღონისძიებები, პრეზენტაციები. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- საშტატო განრიგი
- სკოლის ინვენტარიზაციის მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული 1 კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის როგორც საგაკვეთილო დროს, ისე გაკვეთილების დასრულების შემდეგ. სკოლას გააჩნია კომპიუტერები, 1 პროექტორი, პრინტერები, მათ შორის ფერადი პრინტერი, სკანერი. ინტერნეტით უზრუნველყოფილია სასწავლო სივრცე.. ყველა მასწავლებელს აქვს სკოლის ტექნოლოგიური რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა. სკოლას აქვს სკოლას აქვს შემუშავებული ციფრული განვითარების გეგმა/გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სკოლაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების განაწილების სივრცეები, გამოყენებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ, ადგილისა და დროის მითითებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ტექნოლოგიებით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კომპიუტერებითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ციფრული განვითარების გეგმა;**
- **ტექნოლოგიების სივრცე**
- **სკოლის სხვადასხვა სივრცეში განთავსებული ტექნოლოგიური რესურსი**

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა საქმისწარმოების წესის განხორციელების დროს ხელმძღვანელობს „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ ბრძანების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით შემუშავებული სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის მიხედვით. დაწესებულებას ჰყავს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. ძირითადი საქმის წარმოება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული სისტემით „ Eflow”, „email.mes.gov.ge” -სა და eschool.emis.ge-ზე. საქმისმწარმოებლის მიერ ხდება ფიზიკური (მატერიალური) სახით შემოსული კორესპონდენციის კანონით განსაზღვრულ ვადებში დახარისხება, გატარება, დამუშავება, სკოლის თანამშრომლებისათვის მიწოდება, დოკუმენტების კანონით განსაზღვრულ ვადებში შესრულების პროცესის კონტროლის გაწევა და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ძირითადად მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. კერძოდ, მოქმედებს Eflow-ს, eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, მოხსენებითი ბარათებისა და ბრძანებების ატვირთვა, აღნიშნულის მიზნით, სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს მოქმედი და სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულებაში ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის. სკოლა ანგარიშვალდებულია დროულად მოახდინოს თავისი საქმიანობის შეჯამება, დადგენილ ვადებში აღრიცხოს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი. საქმისმწარმოებელს აქვს მუდმივი ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი და ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის (კომპეტენცია, სამუშაო სივრცე, რესურსები და სხვა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- სკოლის EFLOW-შემოსული და გასული წერილების რეესტრი.
- სკოლის საინფორმაციო სივრცე-Eschool

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლა საჯარო სახის ინფორმაციას განათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე, ასევე სოციალურ ქსელში, კერძოდ, სკოლის ფეისბუკ-გვერდზე და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლის ვებ გვერდზე .

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექტორის განმარტებით, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირება ხორციელდება კონკრეტული პირების მიერ. ინფორმაციის გამოქვეყნებამდე კონსულტაციას გადიან დირექტორთან. სკოლის ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროგრამების, აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ასევე ფოიეში, საინფორმაციო დაფებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

   საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სკოლა მომხმარებლიდან ინფორმაციას იღებს შემდეგი წყაროებიდან: ოფიციალური საგანმანათლებლო საიტები (მაგ: სამინისტროსა და სხვადასხვა სსიპ-ის ვებგვერდები), განცხადებები, messenger ჯგუფები, დირექციასთან, დამრიგებელთან, მასწავლებელთან შეხვედრებისას მიღებული ინფორმაციები და სხვა. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი განიხილავენ აღნიშნულ ინფორმაციას და იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლას აქვს სოციალური ქსელის- facebook-გვერდი, ასევე სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე (სკოლის ვებ გვერდის ლინკი) განთავსებული აქვს შემდეგი ინფორმაცია:

1. მისია, ხედვა, ღირებულებები,
2. სკოლის სტრუქტურა;
3. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. პროგრამები მხარდაჭერის მექანიზმი;
6. ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი
7. ინფრასტრუქტურა
8. სკოლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია

სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყველა ინფორმაცია, რომლის გასაჯაროვებაც მოეთხოვება სკოლას ვებგვერდის საშუალებით, განთავსდება სკოლის ვებგვერდზე ეტაპობრივად.

<u>სკოლას მიეცა რჩევა ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდზე, ასევე განაახლოს ყველა ის ინფორმაცია, რომელთა ცვლილებაც განახორციელა ექსპერტთა ვიზიტისას და რომლებიც განთავსებული ჰქონდა ვებგვერდზე.</u>

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ვებგვერდი**
- **სკოლის სოციალური ქსელის Facebook-ის გვერდი**
- **სკოლის დირექტორის ბრძანება მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. კერძოდ, სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლას აქვს საკუთარ ანგარიშზე ვაუჩერული დანაზოგი, რომელსაც იყენებს წლების მანძილზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემებისა და სასკოლო აქტივობების განხორციელებისათვის. ყოველწლიურად იქმნება ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (სამეურვეო საბჭოს სახით). სკოლას წარმოდგენილი აქვს 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს სკოლის ყველა აუცილებელ ხარჯს შემოსავლების შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დირექტორის განმარტებით, სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. წელიწადში ერთხელ სკოლა ახორციელებს ფინანსურ ინვენტარიზაციას, სკოლა ყოველი წლის ნოემბერში გეგმავს მომავალი წლის შესყიდვებს და ამტკიცებს მას (საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება). ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვისა და კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი;**
- **წლიური ფინანსური ანგარიში;**
- **შესყიდვების დამტკიცების შესახებ ბრძანება და შესყიდვების გეგმა**
- **სამეურვეო საბჭოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების ოქმი.**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლას მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად შექმნილი და გამოყენებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოსწავლეთა უფლებისა და გარანტიების დაცვა. სკოლის შინაგანაწესს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობენ სკოლის მიერ ორგანიზებულ მშობელთა და

მოსწავლეთა კრებებზე, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლისა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსების აღსრულებას (რაც არეგულირებს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებებს). სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მშობელთა ინფორმირების საკითხებს. სკოლა გეგმავს გაზარდოს კლასის საათების რაოდენობა, როგორც სკოლა აღნიშნავს, ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებს უკეთე გააცნობიერონ საკუთარი და სხვათა უფლებამოვალეობები. მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა სასკოლო და საკლასო პროექტებში, მოსწავლეებს აქვთ გასაჩივრების უფლება (მაგრამ ცალკე დამტკიცებული დოკუმენტი შედგენილი არ აქვთ). ყველა დოკუმენტი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ინფორმაციას. სკოლაში მოსწავლით კანონიერი უფლებების დაცვა და გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო სივრცეში შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , ყველა კლასში სასწავლო წლის მანძილზე განთავსებულია მოსწავლეების აქტიური ჩართულობით შემუშავებული ქცევის წესები, სკოლაში მოსწავლეთა მშობლები ინფორმირებულნი არიან სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მშობლებსა და მოსწავლეებს საჭიროებისამებრ ეგზავნებათ შესაბამისი ინფორმაცია, სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული კლასის დამრიგებელი იწვევს მოსწავლეთა მშობლებს და კრებაზე აცნობენ სკოლის საერთო კულტურას, მოსწავლეთა ქცევის და ეთიკის კოდექსს, მოსწავლეების უფლება მოვალეობებს და შინაგანაწესს. საკლასო კრებაზე აცნობენ აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს. სკოლას გააჩნია Facebook გვერდი, რომელსაც სკოლა იყენებს, როგორც ერთ-ერთ საშუალებას საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას და მოსწავლეთა მობილობისას სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარომადგენელს შორის იდება კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. მასში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე**
- **მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) დებულება**
- **მშობელთა კრების ოქმი/ოქმები.**
- **სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება**

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანების შესაბამისად“ განსაზღვრავს დედალაურის საჯარო სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. საფეხურის დაძლევის წესი განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება აგრეთვე მობილობის წესიც. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლე დადგენილი წესით რეგისტრაციას გადის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ ირიცხება სკოლაში. სკოლაში გამოიცემა ბრძანებები მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრასა და მათი აკადემიური მოსწრების აღიარებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბრის ბრძანება N2-48-ის საფუძველზე სკოლას დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლის ტრანზიციის გეგმა“, რომლითაც კონკრეტულად არეგულირებს მხოლოდ მომავალ პირველკლასელთა ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხსა და პროცედურას. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს კანონის შესაბამისად. დაინტერესებული პირს ეცნობება ინფორმაცია პროცედურებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ უშუალოდ

პასუხისმგებელი პირის მეშვეობით. ჩარიცხვა ხორციელდება მშობელთა განცხადების საფუძველზე დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სტატუსის შეწყვეტისას მშობელს ეცნობება წერილობით. მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაცია საჯაროა და განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ სხვადასხვა საინფორმაციო არხიდან (მაგ/; სკოლის სოციალური გვერდი, საინფორმაციო დაფა და ა.შ). მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს სკოლაში დარეგულირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სკოლაში შემუშავებული სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა თავისი გადაწყვეტილებების დროს არის ღია საკომუნიკაციოდ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლას აქვს სხვადასხვა მიმართულების კლუბების ფუნქციონირების გამოცდილება (,,ეკოკლუბი,, და „აგროკლუბი“). მშობელი/დაინტერესებული პირი ნებისმიერ დროს იღებს ინფორმაციას სკოლის შესახებ. გავრცელებული-გაზიარებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და სკოლა აქტიურად იყენებს თავის სოციალური ქსელს. სკოლას დამატებითი ფასიანი მომსახურება არ აქვს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განხორციელებული პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირთათვის კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, ამასთანავე, სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფაზე. გარდა ამისა, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების მიერ საჭიროებისამებრ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ზემოთ მოცემული სხვადასხვა საკითხის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მოსწავლის ტრანზიციის გეგმა**
- **მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;**
- **მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება;**
- **მოსწავლეთა პირადი საქმეები;**
- **სკოლის ვებგვერდი;**
- **სკოლის სოციალური გვერდი.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

   სკოლის ზრუნვა თითოეულ მოსწავლეზე ჩანს სხვადასხვა სახის აქტივობებსა და დოკუმენტაციაში. სკოლა ხელს უწყობს თითოეული ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციას არსებულ სასწავლო გარემოსთან, სკოლას აქვს გაწერილი ტრანზიციის მექანიზმების დოკუმენტი. სკოლის ყველა კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, ამატებს მათ დახურულ სამუშაო ჯგუფებში. აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, სკოლასა და მშობელს შორის ფორმდება ხელშეკრულება. სკოლის

მოსწავლის მშობელსა და ახალჩარიცხულ მოსწავლეს სკოლა აცნობს სკოლის გეოგრაფიასა და ისტორიას, თითოეული კაბინეტის განლაგებას და საერთო სარგებლობის სივრცეებით გამოყენების წესებს. ამ მიზნით მჭიდრო კონტაქტი აქვთ ახლომდებარე სკოლამდელ დაწესებულებასთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, დამრიგებლის მიერ პირველკლასელების სკოლაში მოწვევა პირველად ხდება მშობლებთან ერთად და სწავლის დაწყებამდე (სკოლის შენობის გასაცნობად). წლის მანძილზე სასკოლო საზოგადოება გეგმავს ერთობლივ საკლასო თუ სასკოლო აქტივობებს მშობელთა ჩართულობით, აწყობენ გასვლით ექსკურსიებს. ბავშვებს მოსწონთ აქტიური სასკოლო ცხოვრების წესი, სკოლაში არსებული კლიმატი პოზიტიური და მხარდამჭერია. სასკოლო აქტივობები გაზიარებულია სკოლის Facebook-გვერდზე და მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირეა, თუმცა , მიუხედავად ამისა, თითოეული მოსწავლისადმი დამოკიდებულება, ზრუნვა, ყურადღება და მხარდაჭერა სრულად იგრძნობა სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას გააჩნია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები. მშობლები დამრიგებლის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას აკადემიური მოსწრების შესახებ, კვირის ყოველ პარასკევს არის მშობელთა მიღების დღე (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მცირეკონტინგენტიან სკოლაში მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობა სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები არიან და ყოველდღიურად არიან ინფორმირებულნი სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ). ინფორმაციის გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. არის სატელეფონო ზარებიც და საერთო ჩატებიც. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. მასწავლებლები სისტემატურად ეხმარებიან მოსწავლეებს გაკვეთილების მიმდინარეობისას, აძლევენ რჩევებს, რეკომენდაციებს, განმარტებებს მათთვის გაურკვეველი საკითხების გარშემო. მოსწავლისათვის სირთულის აღმოჩენის შემთხვევაში მასწავლებელი სკოლაშივე გამოყოფილია დამატებითი დრო მეცადინეობისათვის. სკოლის ადგილზე დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე სხვადასხვა სახის მრავალფეროვან რესურსს თავადვე ამზადებს, რასაც კარგად ასახავს საკლასო ფიზიკური გარემო. მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია,მაქსიმალურად უწყობს ხელს თითოეულ მოსწავლეს ჩაერთოს სასკოლო თუ სარაიონო პროექტებსა და ღონისძიებებში. სკოლას გააჩნია ხელშემწყობი გარემო საიმისოდ, რომ მოხდეს მოსწავლეთა მხრიდან ინოვაციებისა და იდეების რეალიზება. სკოლა საჭიროებისამებრ მზადაა განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება. სკოლას აქვს სათანადო ტექნოლოგიური რესურსები იმ რაოდენობით, რომ გათვალოს მათი გამოყენება მოსწავლესა თუ მასწავლებელზე, შესაბამისად, მათ არ უჭირს ონლაინღონისძიებებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა. სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. მაგალითად მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. ასევე მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი. ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას. ასევე, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა საჭიროებისამებრ აწვდის ინფორმაციას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის, გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეთა საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის, გამოიცემა შესაბამისი აქტი, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ამორიცხვის შესახებ ბრძანებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის მოსწავლეთა მცირე რაოდენობა გარკვეულ სპეციფიკურ სურათს ქმნის, რაც გამოიხატება არაფორმალური განათლების მიმართულებით საკლასო და სასკოლო პროექტების განხორციელებაში. ვიდრე გარე პარტნიორულ ურთიერთობებსა და რომელიმე ორგანიზაციის სკოლასთან თანამშრომლობაში, თუმცა სკოლას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამშრომლობის მემორანდუმი აქვთ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან და ხონის მუნიციპალიტეტის 2 სკოლასთან. სკოლას გამოხატავს მზაობას, მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივებს შესაძლებლობის ფარგლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს ფორმალური განათლების ფარგლებში ხარისხის გაუმჯობესებას და დაინტერესებულია ხელი შეუწყოს არაფორმალური განათლების გაძლიერებას. სკოლაში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 2 კლუბი: ეკოკლუბი და აგროკლუბი. როგორც სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა და მშობელთა/ კანონიერ წარმომადგენელთა გამოკითხვა სასკოლო წრეების შესახებ, რათა გაითვალისწინონ სამომავლოდ მოსწავლეთა ინტერესები.როგორც სკოლამ განაცხადა, სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე, საშტატო განრიგით განსაზღვრული აქვს წრის ხელმძღვანელის შტატი და ცეკვის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეებს კვირაში რამდენიმე გაკვეთილს სთავაზობს. სკოლა გამოხატავს მზაობას დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიხედვით გააუმჯობესოს მომსახურეობა. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასახულია სკოლას შექმნილი აქვს შესაბამისი კლუბების დებულებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დოკუმენტი**
- **კლუბის დებულება**
- **სკოლის ვებგვერდი;**
- **სკოლის Facebook-გვერდი;**
- **ურთიერთდაკვირვებისა და თვითშეფასების ფორმები;**
- **განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები;**
- **უკუკავშირის ფორმები.**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას პროფესიული ორიენტაციის შესახებ. კერძოდ, აწვდის ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებზე. მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეების მონაწილეობითა და ჩართულობით იგეგმებოდა პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე შეხვედრები და პროფესიების მიხედვით ინტერესთა წარმოჩენა. სკოლა პროფესიული ორიენტაციის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს და ინფორმაციას აზიარებს მოქალაქეობის გაკვეთილებსა და კლასის საათებზე
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**
   სკოლა რეგულარულად აწვდის მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციას სამინისტროს მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, პროფესიული სასწავლებლებისა და პროგრამების თაობაზე - ღია კარის დღე, საგამოცდო ფორმატში ცვლილებები, ახალი პროგრამები, პროფესიულ სასწავლებლებში რეგისტრაციის ვადები და ა.შ.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**
   სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, რომ გაითვალისწინოს მშობელთა უკუკავშირისას გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი საკითხები, ,,კლასის საათის“ ფარგლებში გამოვლენილი მოსწავლეთა საჭიროებები და მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**

- ,,კლასის საათის „ ჩანაწერები
- სამუშაო შეხვედრების ოქმები.
- მშობელთა კრების ოქმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   სკოლაში ამჟამად სწავლობს 3 სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მიზნით შექმნილია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა დანიშნულების მიზნობრივი რესურსებით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემდეგს:
   - **სამოქმედო გეგმა** - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა დგება სასწავლო წლის დასაწყისში. აქცენტები გაკეთებულია ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დაგეგმვაზე, წარმართვასა და განხორციელებაზე.
   - **საჭიროებების იდენტიფიცირება** - კლასის მასწავლებლები აიდენტიფიცირებენ სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეებს. ისინი ამის შესახებ აცნობებენ კლასის დამრიგებელსა და დირექციას.
   - **სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის მექანიზმი** - მას შემდეგ რაც დარწმნდება სკოლა, რომ თავისი რესურსი სრულად ამოწურა და ე.ს.გ.-ის სტანდარტის დაძლევა ძნელდება, მშობელთან წერილობითი შეთანხმებით მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ უწყებას, რათა მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს მოსწავლეთა საჭიროებები. მშობლის წერილობითი უარის შემთხვევაში მუშაობა მოსწავლესთან მოდიფიცირებული გეგმით გრძელდება. იმავე პროცედურას მიმართავს სკოლა სტატუსის მოხსნის შემთხვევაში.
   - **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი** - ყველა მოსწავლისთვის ცალ-ცალკე იქმნება ისგ ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეც მასწავებელთან კოორდინირებულ მუშაობას. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშავდება ინდ. გეგმები.
   - **მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა** - როგორც სპეცმასწავლებელმა და სკოლის დირექტორმა აღნიშნეს, მშობელი ყოველთვის ესწრება ისგ ჯგუფის შეხვედრებს და მასწავლებლებთან და სპეც. მასწავლებელთან ერთად გეგმავს აქტივობებს. იგეგმება ინდივიდულური შეხვედრები სსსმ მოსწავლის მშობლებთან კონსულტირება-ინფორმირებისა და შესასრულებელ სავარჯიშოებისა და მიღწევების შესახებ ინფორმირების მიზნით. ასევე არის შემთხვევები, როდესაც სსსმ

მოსწავლე მკურნალობის კურსს გადის ფსიქოლოგთან და მშობლის მიერ წარმოდგენილ ფსიქოლოგთან მუშაობის გეგმას სკოლა ითვალისწინებს სასკოლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისას.

- **კონფიდენციალობა** - ისგ ჯგუფი შექმნილია სსსმ მოსწავლისთვის . ამ ჯგუფის შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება დაუშვებელია. ასევე დაცულია ინფორმაცია მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
- **შიდა მონიტორინგის ჯგუფი** - სკოლაში ჩამოყალიბებულია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლა ინკლუზიური განათლების დანერგვისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმის VIII თავში მოცემული პრინციპებით. სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, ხელი შეუწყოს სსსმმ წინსვლისა და განვითარების პროცესს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირებისას საგნის მასწავლებელი ატყობინებს დამრიგებელს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტს - სპეცილურ მასწავლებელსა და დირექციას. დირექცია აღნიშნულ ინფორმაციას აწვდის მოსწავლის მშობელ/კანონიერ წარმომადგენელსა და ორგანიზებას უწევს მოსწავლის კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექტორის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტსა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების შემთხვევაში მოსწავლის კლასის დამრიგებელი მიმართავს სპეც. მასწავლებელს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის შესახებ წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე. სპეც. მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი ერთობლივად 10 სამუშაო დღის ვადაში აფასებენ მოსწავლის: აკადემიურ, მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქო-ემოციურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, მასწავლებლების, კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექტორისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენელისათვის წარსადგენად. დამრიგებელი და მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ასრულებენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტის რეკომენდაციებს. რეკომენდაციების საფუძველზე იღებენ ყველა საჭირო ზომას მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით. მიუხედავად ამ ზომების მიღებისა მოსწავლე თუ ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1-დან 2- თვის ვადაში სკოლის დირექტორი სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ითხოვს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებას. შეფასების მოთხოვნამდე მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლა აცნობს მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების აღწერას დასაბუთებულად და იმ ზომების აღწერას ,,რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების მართვის მიზნით, მაგრამ არ

აღმოჩნდა საკმარისი. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლას მიმართავს წერილობით და გამოხატავს თანხმობას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორი სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის წარდგენილ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნას დაურთავს შემდეგ ინფორმაციას: მოსწავლის საიდენტიფიკაციო მონაცემები; მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების აღწერა და დასაბუთება; იმ ზომების აღწერა რომელიც სკოლამ მიიღო მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების პირველადი მართვის მიზნით; დამრიგებლის/მასწავლებლების მიერ საგნებში მოსწავლის მიღწევების შეფასების ფორმა; ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის მართვის პირველადი შეფასებები და რეკომენდაციები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარდა ამისა, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფში შედის : სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი; საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს; სპეც. მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; ისგ ჯგუფი იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ, სხდომებზე განიხილება სსსმ მოსწავლის მიმდინარე სასწავლო პროცესი, მოსწავლის მიღწევები თუ საჭიროებები, სწავლების სტრატეგიები, შესაბამისი რესურსების შექმნა-მომზადება, განმამტკიცებლების გამოყენება. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს, რომლებიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლისათვის ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შეიქმნას მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ყველა საგანში ან კონკრეტულად რომელიმე საგანში მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

სკოლაში რესურს ოთახი აღჭურვილია ადაპტირებული ავეჯით, საგანმანათლებლო რესურსებით, განმავითარებელი სათამაშოებით, კინეტიკური ქვიშით, ლედ ბურთით, ხელნაკეთი რესურსებით და სხვა.

სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა , რომ ერთ-ერთ სსსმ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა მიღებული აქვს 7 წლის წინ და ამ პერიოდის განმავლობაში სკოლას არ მიუმართავს განმეორებითი შეფასებისთვის. <u>სკოლას მიეცა რჩევა ინდივიდუალური გეგმებში მოსწავლის საჭიროებების სიზუსტით განსასაზღვრად მიმართოს შესაბამის უწყებას მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ დასკვნის მისაღებად, რათა ახალი სასწავლო წლისათვის შესამუშავებელი ინდგეგმები სრული სიზუსტით ასახავდეს მოსწავლეთა საჭიროებებს და განსაზღვრავდეს მიზნებს.</u>

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება - ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი N1
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი N2
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი N4
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- გაკვეთილზე და რესურსოთახში მუშაობისთვის გაწერილი განრიგი
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- ბრძანება სსსმ მოსწავლეებისთვის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   საჯარო სკოლას მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   საჯარო სკოლას მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   საჯარო სკოლას მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე და ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროებისამებრ სკოლა ყველა დოკუმენტაციასა თუ ინფორმაციას დროულად აწვდით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არშეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგების, მოსწავლეთა, მშობელთა ინტერესები. კათედრებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლეებზე დაკვირვებით ხორციელდება. ამიტომ მომავლისთვის გაწერილი აქვთ მეთოდოლოგიაში ის ინსტრუმენტები, რითაც მეტი სიზუსტით დაადგენენ სასკოლო საზოგადების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დაწყებითი საფეხურის ყველა პედაგოგი.

ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იმართება სამუშაო შეხვედრები, სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენის მიზნით. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებენ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა წევრი. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. სასწავლო წლის განმავლობაში ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების განალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 2.1.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, იგი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის გასაჯაროების გზები (ელექტრონული ფოსტა; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან), ასევე სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შემუშავებასთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები
- უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები
- მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1 06.09.2024;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2024-2025;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.;
- სასკოლო კრიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი, სამივე საფეხურზე არის სტანდარტზე მორგებულია და მისის შინაარსის გათვალისწინებით დაგეგმილი რაც უზრუნველყოფს მის მოსწალვეზე ორიენტირებულობას. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოსწავლეზე ორიენტირებულობა ასევე იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროს,როდესაც ისინი ასახელებენ კურიკულუმში ცვლილების მიზეზებად იმას თუ რა გაუჭირდათ მოსწავლეებს, რა გაიგეს უკეთ, მათ ინტერესებს და ა.შ
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. საგნობრივი კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტები, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კათედრის წევრები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, აკადემიურ საჭროებებს - რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას.
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. ისინი ითვალისწინებენ შემოქმედებითი და აქტიური სწავლისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, ასევე ისეთი სასწავლო აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური ინტერესების, უნარების და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. კურიკულუმებში იკვეთება შემოქმედებითი პროცესის წახალისება, თანამშრომლობითი სწავლის ელემენტები და თემატური მრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული და გრძელვადანი მიზნისკენაა ორიენტირებული.. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე.

მათემატიკა	წარმოდგენილ დოკუმენტაციებში და თითოეული საფეხურის თითოეული კლასისათვის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილია ვალდებულება თუ რა ფორმით აღიწერება მოსწავლის განვითარების „გზა“; მასწავლებლების პრაქტიკული საქმიანობა; როგორ განისაზღვრება ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმები, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს, რა დამატებით საგანმანათლებლო სერვისებს (კლუბები, წრეები და სხვა) სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. ამ მოთხოვნების შესაბამისად არის შემუშავებული მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები ,ამავე დროს თითოეული კლასის კურიკულუმი წარმოსგენილია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. რითაც შესაძლებელი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეა, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, აღნიშნეს გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა და გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმების შემუშავებას მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგები სკოლის, მატერიალური ბაზის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით (მძლეოსნობა, კალათბურთი, პროექტული სწავლება, ფრენბურთი, ფეხბურთი, ლაშქრობა და ძალისმიერი ვარჯიშები) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები.
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.ის უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებას

	ისე, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები, უნარების განვითარება და აქტიური ჩართულობა. კურიკულუმი ქმნის შესაძლებლობებს ინდივიდუალური და თანასწორი განათლების მიღებისთვის, რაც არის თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების ძირითადი პრიორიტეტი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილია გრძელვადიანი მიზანი. სასწავლო შედეგი კი მოსწავლის პიროვნული განვითარებაზეა ორიენტირებული. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. ამას მოწმობს დაწყებითი (I-IV)კლასების კურიკულუმები ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში და შემოქმედებითი ბუნების დავალებების თითო ნიმუში..

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ხინის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაური საჯასო სკოლის ,როგორც საბაზო, ასევე სასუალო საფეხურის, საბუნებისმეტყველო საგნების თითოეული კლასისითვის განკუთვნილი კურიკულუმი მიემერთება ესგ-ში გაწერილ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად ისეა შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რაც იძლევა ამ საშულაბას დამუშავდეს თითოეული თემის სწავლების დროს სამიზნე, გრძევადიანი მიზნები. მაგ, მე- 8 კლასის ბიოლოგიის საგნობრივ

	კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ბუნების დავალება- პლაკატის შექმნა“ თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების გავლენა ჯანმრთელობაზე” მიემართება სამიზნე ცნებაზე ჯანმრთელობა და დაავადება, სასიცოცხლო თვისება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ წარმოდგენილ მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიულუმების ჩარჩოებში, თემის ფარგლებში მოცემულია საკითხები, გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგგმვის შესაძლებლობას. **რეკომენდაცია:** საგან ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოებში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. **რჩევა:** სასურველია, საგან ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად.

უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რესურსები, რაც ხშირ შემთვევაში ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **რჩევა: 1.**სკოლას მიეცა რჩევა, რომ I კლასის VII თავის სამიზნე ცნებებში, დაემატოს ცნება-**ენობრივი საშუალებები**. ხოლო II კლასის კურიკულუმში დაკორექტირდეს II თავის სამიზნე ცნებები(ინგლისური ენა). **2.** სასურველია, შემოქმედებითი დავალების იდეაში საკითხთან ერთად ნათლად იყოს ფორმულირებული თუ რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ევალება მოსწავლეს. მაგალითად, IX კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის VI თავში, სასურველია ჩანდეს კონკრეტულად რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე-პოსტერი, კომიქსი, პრეზენტაცია თუ სხვა. 3. სასურველია, VII და X კლასის ინგლიური ენის კურიკულუმებში, კონტექსტ მაგალითში, მიუთითოთ კონკრეტული რესურსი, რომელიც მოსწავლეს გამოადგება დავალებაზე მუშაობისას მოდელის სახით, მაგ. სახელმძღვანელოს გვერდი, ტექსტის სათაური, ან ელექტრონული ბმული.
ესთეტიკური აღზრდა	თავდაპირველად გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში და სკოლაში ვიზიტისას დადგინდა შემდეგი: **დაწყებითი საფერხური :სახვითი ხელოვნება:** კურიკულუმებში შეინიშნება არასაკმარისი შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დაწყებით საფეხურზე, კერძოდ IV კლასის პირველ თემაში, არ მუშავდება სამიზნე ცნება **„ტექნიკა“**, რაც არსებითია ამ საფეხურზე. V და VI კლასებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გეგმით განსაზღვრულია ხუთი სამიზნე ცნება, ისინი კურიკულუმში სრულად არ აისახება. დარგების და ჟანრების გაერთიანება კვლავ შეინიშნება, რაც ართულებს ცნებების სიღრმისეულ დამუშავებას. გარდა ამისა, V კლასის მეოთხე თემაში კვლავ არ ხდება **„ტექნიკის“** ცნების გათვალისწინება. კურიკულუმებში გაწერილია ყველა ქვეცნება — მათ შორის ისეთიც, რომელიც თემის შინაარსობრივ

	არეალში არ ჯდება და რომლის დამუშავებას ეროვნული გეგმა კონკრეტულ ეტაპზე არ ითხოვს, რაც ქმნის არათანაბარ დატვირთვას და არღვევს თემატური დაგეგმვის ლოგიკას. ამასთან, არსებობს შემთხვევები, როდესაც თემა უშუალოდ მოითხოვს ტექნიკის ცნების გააზრებასა და გამოყენებას (მაგალითად, **მოზაიკა**), თუმცა აღნიშნული ცნება სამიზნე ცნებებს შორის მითითებული არ არის. **მუსიკა:** I და II კლასების კურიკულუმებში, ეროვნული გეგმით განსაზღვრული საკითხების დაგეგმვის ნაცვლად, ჩამოთვლილია მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმი არ ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდური რეკომენდაციების მოთხოვნებს, რაც ზღუდავს სწავლის მიზნობრივ და განვითარებაზე ორიენტირებულ გეგმას. **საბაზო საფერხური: სახვითი ხელოვნება:** VII კლასის კურიკულუმში მითითებულია მხოლოდ სამიზნე ცნებები, ქვეცნებების გარეშე. საკითხები არ არის ჩამოყალიბებული, წარმოდგენილია მხოლოდ თემების ჩამონათვალი. შემოქმედებითი დავალებების ნაცვლად მოცემულია სახელმძღვანელოს პარაგრაფების ბოლოს არსებული დავალებები, რაც არ ემსახურება ეროვნული გეგმის მიერ დასახული შემოქმედებითი პროცესის მიზანს. VIII კლასის კურიკულუმშიც არ არის გაწერილი ქვეცნობიერი ცნებები, საკითხების ნაცვლად კვლავ მითითებულია სახელმძღვანელოს პარაგრაფები, ხოლო წარმოდგენილია მხოლოდ ერთი შემოქმედებითი დავალება. IX კლასის შემთხვევაში, წარმოდგენილი კურიკულუმი შედგენილია გამომცემლობა „კლიო“-ს სახელმძღვანელოს მიხედვით, მაშინ როცა სკოლა ფაქტობრივად იყენებს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სახელმძღვანელოს, რაც იწვევს კურიკულუმის და რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესის შორის შეუსაბამობას. **მუსიკა:** VII–IX კლასების მუსიკის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. საგნობრივი სტანდარტები, საკითხები, სამიზნე და ქვეცნებები ცნებები, ასევე შემოქმედებითი და დასკვნითი აქტივობები წარმოდგენილია სრულად და გააზრებულად, რაც უზრუნველყოფს სწავლის მიზნობრივად დაგეგმილ პროცესს.

	საშუალო საფეხური: მუსიკა (X კლასი): კურიკულუმი არ შეესაბამება პროექტული სწავლების პრინციპებს. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლეებმა უნდა განახორციელონ ორი პროექტი — თითო სემესტრში ერთი. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ექვსი პროექტი, საიდანაც უნდა შეირჩეს ორი. თუმცა სკოლის კურიკულუმში ყველა პროექტი წარმოდგენილია თემების სახით, რაც არღვევს პროექტის დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულად წარმოდგენას. ამასთან, ცალკე წარმოდგენილი პროექტის დოკუმენტი კურიკულუმში შეტანილია როგორც მეექვსე თემა, რაც მიუთითებს დაგეგმვის ხარვეზზე და პროექტული სწავლების მოდელის არასრულად გააზრებაზე. შედეგად, კურიკულუმი ვერ ასახავს სწავლების მიზნობრივ და სტრუქტურირებულ დაგეგმვას. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (XI კლასი):** კურიკულუმში საერთოდ არ არის წარმოდგენილი XI კლასის მასალა. არ ფიქსირდება არც თემები, არც საკითხები და არც შემოქმედებითი ან პროექტული აქტივობები. შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაგეგმვა სრულად გამოტოვებულია და არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. შემაჯამებელ დავალებებად სკოლას გადმოგზავნილი აქვს ტესტური დავალებები, რომლებიც თავდაპირველად ასახული არ იყო კურიკულუმებში. *<u>თუმცა, საბოლოოდ, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას და მოწოდებული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ ყველა არსებული ხარვეზი გამოასწორა, რაც დადასტურებულია შესაბამისი საგნების წარმოდგენილი კურიკულუმებით, რომლებსაც სკოლა, სამომავლოდ გამოიყენებს.</u>* **შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: **თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები.** ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების

	რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, საკითხები იერარქიული კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, ხოლო მოსწავლეებში ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიზის, თვითშეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობა აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს, მათ დაადასტურეს მზაობა უფრო აქტიურობით გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას და წარმართავენ სწავლა-სწავლების პროცესს სკოლაში შემუსავებული კურიკულუმების შესაბამისად.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი). **რჩევა:** საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არსებული თემები არ არის დალაგებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო საფეხურზე ხორციელდება სასწავლო

	თემების მიხედვით ტექნიკის შესწავლა, ხოლო საშუალო საფეხურის ტექნიკის დახვეწა/სრულყოფა. სკოლას საშუალო საფეხურზე აქვს წარმოდგენილი სპორტის სათამაშო სახეობა მაგიდის ჩოგბურთი, რომლიც სწავლება არ განხორციელებულა საბაზო საფეხურზე, რის გამოც მოსწავლეები ვერ შეძლებენ არსებული თემიდან გამომდინარე ტექნიკის დახვეწას. სასურველია სკოლამ საშულო საფეხურის კურიკულუმებში არსებული სასწავლო თემები წარმოადგინოს საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ტემების შესაბამისად, რათა მოხდეს შესწავლილი ტექნიკის დახვეწა/სრულყოფა.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მასწავლებელის მიერ შედგენილი კურიკულუმი წარმოადგენს სწავლის ისეთი გარემოს დაგეგმვის საფუძველს, სადაც ძირითადი ყურადღება გაწვდილია მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე. საგნობრივი პროგრამა ემყარება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიზნად ისახავს სავალდებულო თემების შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესის მოქნილ და პრაქტიკულ ორგანიზებას. თემები ჩამოყალიბებულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრა და ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. დავალებები კონტექსტუალურად ახლოსაა მოსწავლის ყოველდღიურ გარემოსთან, ამავე დროს ემთხვევა მათი ასაკობრივი შესაძლებლობებისა და ინტერესების დიაპაზონს. კურიკულუმი ითვალისწინებს აქტიური სწავლის პრინციპებს და ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომებზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებას. ტექნოლოგიების პედაგოგებს გააჩნიათ მკაფიო წარმოდგენა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე – ისინი განიხილავენ მოსწავლეს ,როგორც აქტიურ შემოქმედს, რომელსაც სჭირდება მხარდაჭერა და მიმართულება საკუთარი სწავლის მართვაში. საგნობრივი მასალების, შეფასების მექანიზმების და მასწავლებელთა პროფესიული ხედვების საფუძველზე ცხადია, რომ ტექნოლოგიების კურიკულუმი რეალურად უზრუნველყოფს ისეთი სასწავლო გარემოს ფორმირებას, სადაც მოსწავლე დგას პროცესის ცენტრში და სწავლა ხდება მიზანმიმართული, დაკავშირებული და შედეგზე ორიენტირებული.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმები დაგეგმილია ე.ს.გ.ის სტანდარტის მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების რეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად არის დაგეგმილი. გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. ატვირთულ შემოქმედებითი ბუნების დავალებებში ჩანს: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის - შეფასების ინსტრუმენტებს შორის. რაზეც მოწმობს ატვირთული შემოქმედებითი ბუნების დავალება თავისი შეფასებით, მასწავლებლის რეფლექსიით და მოსწავლით ნაშრომით. თითოეულ საგანში ატვირთული შემოქმედებითი ბუნების დავალებების, კათედრის ოქმის, შეფასების რუბრიკების და მასწავლებელთა ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით კლასებში დაგეგმილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ.ით განსაზღვრულ მიზნებს.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილია ისეთი ტიპის რესურსი რაც უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ გამართული ლაბორატორია და შესაბამისი აღჭურვილობა მაგ, ქიმიის მასწავლებელი იყენებს ვირტუალურ ლაბორატორიას და სხვადასხვა სახის ციფრულ რესურსს რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ სხვადასხვა ქიმიურ პორცესზე. **რეკომენდაცია**- სასკოლო ლაბორატორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი რესურსებით აღჭურვა, რათა ადვილად მოხერხდეს კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების

	განხორციელება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლ რესურსი. კურიკულუმების ჩარჩეობში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები, რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესის განმავლობაში კათედრა იყენებს შემდეგი ტიპის საგანმანათლებლო რესურსებს : გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებლები თავადაც ქმნიან რესურსებს მაგ. გრამატიკული საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დამახსოვრების მიზნით.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო. დამატებითი რესურსების ჩამონათვალი მწირია. დამატებითი რესურსები ძირითადად გამოიყენება შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში.გასაუბრების პროცესში დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებში მოცემულ დამატებით რესურსებს, რაც პოზიტიურად აისახება სასწავლო პროცესზე და ხელს უწყობს მრავალფეროვანი სწავლების უზრუნველყოფას.

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, მათემატიკის კრებულები, ვიდეოგაკვეთილები ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, მოდელები და სხვა დაადასტურეს პედაგოგებმაც გასაუბრების დროს და აღნიშნეს რომ გამოყენებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას.
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილია, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა, მაგიდის ჩოგბურთი და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას.

	კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების გამოყენება (მასწავლებელთა მიერ შექმნილი ციფრული და მატერიალური რესურსები, ასევე შესაბამისი ინტერნეტ-რესურსები) უწყობს ხელს მოსწავლეთა მიერ სწავლების მიზნებისა და შედეგების მიღწევას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრას საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის,როგორც ციფრული რესურსები, ასევე მათივე ხელით შექმნილი თვალსაჩინოებები: თემატური პოსტერები, ცხრილები, მოძრავი ანბანი, მაგნიტური დაფა, ციფრები და ა.შ. რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში ბუენებისმეტყველების კურიკულუმში გაწერილია ისეთი ტიპის რესურსები, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილია ისეთი ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შესაბამისად აქტივობები, რომლებიც მოითხოვს დიფერნცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში მოცემულ რესურსებზე დაყრდნობთაც შეგვიძლია ვთქვათ ,რომ მასწავლებელები ცდიოლობენ სასწავლო პროცესი იყოს უფრო მეტად ინკლუზიური და ხელი შეეწყოს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. გარდა ამისა, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ასევე დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. შესაბამისად, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, დიფერენცირებული სწავლების მაგალითებით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.
უცხოური ენები	ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება ისგ-ის შედგენა რუსულ და ინგლისურ ენაში. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში გაწერილია კონკრეტული სტრატეგიები და აქტივობები, რაც დაეხმარება მოსწავლეს დასახული მიზნის მიღწევაში. სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ზოგადად იკვეთება ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების კომპონენტები. წარმოდგენილია ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. დიფერენცირებულ მიდგომებზე მინიშნებები მოცემულია ზოგად დონეზე და ნაკლებად არის გაწერილი კონკრეტული სტრატეგიები ან საშუალებები, რომლებიც სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გაღრმავება

	კონკრეტული მაგალითებითა და მეთოდური მინიშნებებით, რაც კიდევ უფრო გაამყარებს მასწავლებლის შესაძლებლობას, ეფექტურად მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები. . დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარები მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები , რომლებიც იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა. გასაუბრებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებსაც. პედაგოგებს აქვთ ინდგეგმაზე მუშაობის გამოცდილება. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდგეგმით.
მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. გასაუბრებისას აღნიშნეს კათედრის წევრებმა : ,,განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ და ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. დავალებებსაც მათი შესაძლებლობის ფარგლებში მოდიფიცირებას ვუკეთებთ და მათ უნარებზე და შესაძლებლობების მიხედვითა გათვლილი დავალების პირობა. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ეტაპობრივი შემოწმება, ვაწარმოებთ დაკვირვებას მოსწავლეებზე, შესაბამისად ვაძლევთ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და მამოტივირებელია თითოეული მოსწავლისათვის. გვაქვს სსს მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც

	,ვთანამშრომლობთ სპეცმასწავლებელთან და ერთობლივად შევიმუშავებთ ისგ-ას, შეფასების რუბრიკებს. გავაგრძელებთ ანალოგიურ მუშაობას, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, აღნიშნეს კათედრის წევრებმა, რათა სწავლა- სწავლების პროცესი სკოლაში იყოს დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით ინკლუზიური.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. სკოლას მე-2 კლასში ჰყავს სსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელთანაც მუშაობა ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რასაც ადასტურებს მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს. მასწავლებელმა გამოთქვა მაღალი მზაობა, რომ 2025-2026 სასწავლო წელს ინდ გეგმა ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში. სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ინკლუზიურობას და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებას. გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობები ეყრდნობა მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და უნარებს. შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შედგენილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ აქტიურად და წარმატებით შეასრულონ ამოცანები საკუთარი ტემპითა და სტილში. ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს – მათთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამგვარი მიდგომა ქმნის თანაბარ, მრავალფეროვან და მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეული მოსწავლე თავს ხედავს მნიშვნელოვან მონაწილედ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, გაკვეთილზე აქტივობები იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით,

	შემოქმედებითი ბუნების დავალებებში გათვალისწინებულია დავალებები სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის, აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები მოსწავლეთა შესაფასებლად იყენებენ როგორც განმავითარებელ ისე განმსაზრღვრელ შეფასებას. შეფასების რუბრიკები შეესაბამება საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ შეფასების ინდიკატოორებსა და მიზნებს.მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისიცი წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, რაც ხელს უწყოს შეფასება გახდეს უფრო სამართლიანი,ობიექტური და გამჭვირვალე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა წარმოადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისა რუბრიკები, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მიმართულებით. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინა შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შესაბამისაობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან;

უცხოური ენები	კათედრას, შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი,რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **რჩევა:** წარმოდგენილ შემაჯამებელი (ტესტური) დავალების შეფასების რუბრიკებში, სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს, თუ რა კონკრეტული საკითხების ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში შეფასების რუბრიკები ზოგადად ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებში განსაზღვრულ წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს. თუმცა შეფასების კომპონენტები ყოველთვის არ არის მორგებული კონკრეტულ დავალებებს ან აქტივობებს. ზოგ შემთხვევაში კავშირი დავალებებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის არ იკვეთება მკაფად. ტესტური დავალებების შეფასება გაწერილია მარტივი სქემით – თითო სწორი პასუხი ერთ ქულად, ანალოგიური მიდგომა შეინიშნება განმავითარებელ შეფასებაშიც, რაც ზღუდავს სიღრმისეულ ანალიზსა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაფუძნებულ შეფასებას. **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების კონკრეტულ დავალებებთან მიმართება და დაკონკრეტება, რათა შეფასება იყოს მიზნობრივი, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული. ტესტური და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გაფართოება და მათი ადაპტირება დავალებების სირთულისა და მრავალფეროვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს სწავლების პროცესის უკეთ გააზრებას და მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის სრულფასოვან ასახვას.
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალებების შეფასების კრიტერიუმები.

	ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთასა და ამოცანებს შეესაბამება სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: დავალების პირობისა და ტექსტის გააზრების შეფასების რუბრიკა, მხატვრული ტექსტის თხრობის შეფასების რუბრიკა; პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა.
მათემატიკა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ,,განმავითარებელი კომენტარით აღვწერთ, მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს. შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვის უმნიშვნელოვანესი პროცესია, არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი,. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციულ უკუკავშირს, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად“ აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შეფასების სისტემა დაეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად.
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კონრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული.

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების პედაგოგებმა წარადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელი,ასევე განმავითარებელი შეფასებისელემენტებს. შეფასების რუბრიკები ასახავს მოსწავლეთა პროგრესს და დეტალურად აჩვენებს მათ შესაბამისობას საგნობრივი შედეგებისა და საფეხურის ინდიკატორებთან. წარმოდგენილი რუბრიკები შექმნილია ტექნოლოგიების სტანდარტების გათვალისწინებით და ემსახურება გრძელვადიანი საგნობრივი მიზნების მიღწევას. სკოლამ წარმოადგინა კონკრეტულ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია საგნობრივ სამიზნე ცნებებზე და უკავშირდება სწავლა-სწავლების მეთოდურ რეკომენდაციებს. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ხელს უწყობს სწავლების პროცესში მოსწავლეთა უნარების მრავალმხრივ განვითარებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე ყველა საგანში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის საგნების ფარგლებში წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საბუნებისიმეტყველო საგნების კურიკულუმები და შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)რუბრიკები
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ჩვენ საქართველში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში)*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2024-2025;*
- *დიფერენცირებული სწავლების მაგალითები(მე და საზოგადოებაში, ჩვენ საქართველში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში*

- *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები;*
- *მუსიკის კურიკულუმები;*
- *შემაჯამებელი დავალებები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი (სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში)*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში)*
- *X კლასის მუსიკის პროექტი*
- *პროექტის რეფლექსია*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები (ფოტომასალა)*
- *უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები*
- *უცხოური ენების განმავითრებელი და განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
- *შემაჯამებელი დავალებები, ანალიზები,შეფასების რუბრიკები (უცხოური ენები)*
- *პროექტის "ვინ უკეთ იცის უცხო ენა" რეფლექსია(უცხოური ენები)*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (უცხოური ენები)*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ი.ს.გ. გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და ასევე მათ მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ სკოლაში სწავლების პროცესი მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. მოსწავლეები ახორციელებენ სწორედ იმ

	შემოქმედებითი ბუნების დავალებებს რაც კურიკულუმებშია ასახული.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ისინი მიჰყვებიან საგნობრივ კურიკულუმებს და ასევე ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც იკვეთება მუშაობის პროცესში.
უცხოური ენები	სამივე საფეხურის სასწავლო კურიკულუმი მიემართება სტანდატით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმში გაწერილი საკითხები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან, შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და მითითებულია სავარაუდო საათობრივი განაწილება კონკრეტულ თემებთან მიმართებით, ამასთანავე განსაზღვრულია რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გაწერილი თემები და აქტივობები შესაბამისობაშია კურიკულუმში წარმოდგენილ სტრუქტურასთან. დაგეგმილი პროცესის რეალიზაცია დასტურდება ფოტომასალითაც, რაც ადასტურებს თემების პრაქტიკულ განხორციელებას სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია შემაჯამებელი და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც რეალურად ხორციელდება და გადმოგზავნილია მასალის სახით, აისახოს კურიკულუმში როგორც დაგეგმილი აქტივობები. ეს კიდევ უფრო გაამყარებს კურიკულუმის შესაბამისობას პრაქტიკასთან და გაზრდის დოკუმენტის გამჭვირვალობასა და გამოყენებადობას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ

	კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებაც ამ მიზანს ემსახურება. ,,საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესს ვახორციელებთ სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ ვიცავთ ვალდებულებას, რომ სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით და კურიკულუმის შესაბამისად უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი „ აღნიშნეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობას ანალოგიური პრინციპებით და მიდგომებით კურიკულუმების შესამაბისად წარმართონ სასწავლო პროცესი.
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო

	ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **რჩევა**: სასურველია სკოლის მიერ საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები ისე იყოს დალაგებული, რომ თანმიმდევრულად და ეტაპობრივად მოხდეს ჯერ საბაზო საფეხურზე ტექნიკის შესწავლა ხოლო შემდგომში საშუალო საფეხურზე ტექნიკის დახვეწა/სრულყოფა.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ემთხვევა წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმს და სრულად ასახავს მის მოთხოვნებსა და მიზნებს. ინტერვიუებისა და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სწავლება მიმდინარეობს იმ დოკუმენტურად განსაზღვრული კურიკულუმის მიხედვით, რომელიც სკოლაშია დანერგილი, რაც ხელს უწყობს პროცესის თანმიმდევრულობასა და შედეგზე ორიენტირებულობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას. დაწყებითი საფეხურის, ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და ასევე მათ მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ სკოლაში სწავლების პროცესი მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. მოსწავლეები ახორციელებენ სწორედ იმ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს რაც კურიკულუმებშია ასახული

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება, მიმდინარეობს შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადები და შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლის პროცესის ხარვეზების გამოვლენას, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას.ყოველივე ეს საშუალებას აძლევს სკოლას რეაგირება მოვახდინოს წამოჭრილ საჭიროებებზე და იმოქმედოს შეასბამისად. სკოლაში დანერგილია პრაქტიკა,საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. რაც ასევე გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში.კათედრის წევრებთან გასაუბრებს შედეგად ირკვევა, რომ სკოლა რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, მასწავლებლები რეფლექსიის და ანალიზის საფუძველზე გამოკვეთენ საჭიროებას მაგ. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები: განსხვავებული სწავლის სტილი, აკადემიური სირთულეები და მასზე დაყრდნობით შეარჩევენ სასწავლო რესურსებს, სასკოლო / კლასგარეშე აქტივობებს და შემოქმედებითი ტიპის დავალებებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მისი გაცნობა ხდება მოსწავლეებისთვის წინასწარ და ფასდება საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლას, ასევე, წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, საიდანაც ჩანს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა.

უცხოური ენები	შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი შეფასების სისტემა დაფუძნებულია სანდოობისა და ობიექტურობის ზოგად პრინციპებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასება გამჭვირვალეა და სტანდარტებზე დაყრდნობითაა აგებული, ზოგიერთი შემთხვევაში არ არის მკაფად მიბმული კონკრეტულ დავალებებზე და მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე. კრიტერიუმები ზოგჯერ ფორმალურადაა წარმოდგენილი და არ იძლევა სიღრმისეულ ანალიზზე დაფუძნებული შეფასების შესაძლებლობას. **რჩევა:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას, რაც გაზრდის შეფასების სამართლიანობასა და სანდოობას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს.
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები. ეს რუბრიკები ვალიდულია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე,

	ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებითაც.
სპორტი	მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგეიბში შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. სკილის მიერ წარმოდგენილი შეფასებსი რუბრიკები შედგინილია შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების აქტუალურობა და მინშვნელობა სასწავლო პროცესში, შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ რა ცოდნას და უნარებს მიემარტება შეფასება, მოსწავლეებმა იციან კონკრეტულად რა და როგორ ფასდება, რაც გვაძლევს იმის საფუძველს რომ შეფასება გამჭვირვალეა, ობიექტური და სამართლიანი, ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით ისეთი ტიპის შეფასების რუბრიკებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური უნარების შეფასება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ეხმარება დაინახოს მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში განსაზღვრულია თუ როგორ/რა საშუალებებით ხდება მოსწავლეთა განვითარების დინამიკის დადგენა (პროცესზე დაკვირვება; პროდუქტი /შედეგი; გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა, სრტუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა. შერჩევის მექანიზმი, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქმისწარმოების დებულების თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, მოსწავლის პირადი საქმეები შენახულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე საქმისმწარმოებელის პასუხისმგებლობით. მიმდინარე და კომპლექსური დავალებების შეფასებები ინახება კათედრაზე, კათედრის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ქვეშ. სასკოლო დოკუმენტაციები ინახება სკოლის კანცელარიაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- *უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები*
- *უცხოური ენების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
- *უცხოური ენების შემაჯამებელი დავალებების ანალიზი*
- *უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- შესაბამისი საგნების შეფასების რუბრიკები; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
- *მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ი.ს.გ. გეგმა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კრების ოქმები მე-5 კლასი;*
- *მშობელთა კრების ოქმები VI-VII კლასი;*
- *მშობელთა კრების ოქმები მე-12 კლასი;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მასწავლებელები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს,რაც ასევე ასახულია და წინასწარაა გაწერილი საგნობრივ კურიკულუმებში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლ რესურსი. კურიკულუმების ჩარჩეობში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები, რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
უცხოური ენები	კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც ეხარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ძირითად რესურსად წარმოდგენილია სახელმძღვანელო, ხოლო დამატებითი რესურსები — ვიზუალური მასალა, ნიმუშები და ციფრული რესურსები — გამოიყენება განსაკუთრებით შემოქმედებითი დავალებების დროს. მუსიკაში ასევე ძირითად რესურსად გამოიყენება სახელმძღვანელო, ხოლო დამატებით – მუსიკალური ჩანაწერები, ვიდეომასალა და აუდიოფაილები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აუდიტორული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. რესურსების გამოყენება დასტურდება როგორც ფოტომასალით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში აისახოს პრაქტიკაში გამოყენებული დამატებითი რესურსები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს მოსწავლეთა

	მოტივაციას, ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. კურიკულუმის ამგვარი გადახედვა გააუმჯობესებს დოკუმენტის სისწორეს და მეტი სიცხადით აჩვენებს რესურსების გამოყენების რეალურ პრაქტიკას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში.
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, მოდელები და სხვა რაც დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბაკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ ძირითად რესურსებს, მათ შორის ინტერნეტში ხელმისაწვდომ დამატებით მასალებს, ვიდეოგაკვეთილებსა და ვიზუალურ დემონსტრაციებს, რაც აძლიერებს სწავლის მოტივაციას და იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის

	საშუალებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კლასების კათედრა იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს ასევე მატერიალურს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა წინასწარ ამტკიცებს დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს,რაც თავდაპირველად მოცემულია საგნობრი კურიკულუმებში, კათედრის ოქმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსებს ირჩევს პედაგოგი, კათედრასთან შეთანხმებით,მოსწავლეთა საწიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით კლასებისა და საგნების მიხედვით.
უცხოური ენები	მასწავლებლები აღნიშნვენ, რომ იყენებენ დამხმარე გრამატიკული სახელმძღვანელოს (ინგლისური ენის გრამატიკა-ეკა ზამბახიძე,მაკა ზამბახიძე) და ელ. რესურსებს მაგ. საგანმანათლებლო ვიდეოებს სასწავლო პროცესში. რესურსების ვალიდაცია დასტურდება წარმოდგენლი კათედრის სხდომის ოქმით.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს იმ დამატებითი სასწავლო რესურსების შერჩევას, რომლებიც შეესაბამება საგნობრივ თემებსა და მოსწავლეების ასაკს. რესურსების შერჩევა ხდება მასწავლებლების მონაწილეობით და გამოიყენება მიზნობრივად სასწავლო პროცესში.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. დამხმარე რესურსებს ირჩევს კათედრა. ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს.
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე. მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ .
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური.
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერცევა ხდება კათედრაზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გათვალისწინებული ცალკეული საგნების საჭიროება და მოსწავლეთა ინტერესები. გათვალისწინებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მასწავლებელები იყენებენ საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულ მრავალფეროვან რესუსრს იყენებენ, მათ შორის ვირტუალურ ლბაორატორიებს, ინტერნეტ რესურსებს, პლაკატებს,მულაჟებს.სკოლა მაინც საჭიროებს ლაბორატორიების გაძლიერებას მისი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას. **რეკომენდაცია:** სკოლამ უნდა იზრუნოს საბუნებსიმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვაზე, რათა საფრთხე არ შეექმნას კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სწავლის მიზნების შესაბამისია. პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის დამხმარე რესურსებს, რომელბის ბოლომდე არ აქვთ ასახული საგნობრივ კურუკულუმებში. რჩევა: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით - სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით, სარგებლობენ ბიბლიოთეკით.

ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსებს. საგნობრივი აქტივობები ხორციელდება მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამის გარემოში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაფიქსირებულია რესურსების რეალისტური გამოყენება და მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.
სპორტი	სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვევტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას.
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს. ინფრასტრუქტურა და მასალები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობასა და მათი ჩართულობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მიმდინარე ეტაპზე კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სწავლის მიზნების შესაბამისია, როგორც პედაგოგებთან კომუნიკაციისას გამოიკვეთა, ისინი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის დამხმარე რესურსებს, სასურველია, რომ დაწყებითი კლასების კათედრაზე, კოლეგებთან თანამშრომლობის ფორმატში, მეტად აქტიურად განიხილებოდეს ზემოხსენებული სასწავლო რესურსები და ერთობლივი გაანალიზებისა და შეთანხმების შემდგომ მოხდეს მათი ასახვა საგნის კურიკულუმებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ხელმისაწვდომობას. მასწავლებელთა უმრავლესობა აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ჩართულია საგნობრივი პროცესების ეფექტიანად წარმართვაში. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, სკოლა დასაქმებულებში აფასებს პროფესიონალიზმსა და განათლების დონეს, შედეგების მიღწევის ორიენტაციას, სწავლისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს, პროფესიული ეთიკის დაცვას. დოკუმენტის თანახმად, მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით" და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესით" განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს უფროსი და წამყვანი მასწავლებლები. სკოლას ესტეთიკის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების (ხელოვნება-მუსიკა) კურიკულუმების განხორციელებისათვის არ ჰყავს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული, სერტიფიცირებული სპეციალისტები, თუმცა მიმდინარე წლის ივლისში გამოცხადებული ჰქონდა ღია კონკურსი შესაბამისი კადრების შესარჩევად (იხ: https://teacherjobs.ge/83021; https://teacherjobs.ge/83020). **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, გამოცხადებული ვაკანსიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში ღია კონკურსი რამდენჯერმე გამოაცხადოს, რათა დროულად უზრუნველყოს შესაბამისი კადრების შერჩევა და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 2025 წლის 10 ივლისიდან 2026 წლის 10 ივლისის ჩათვლით შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის სპეციალისტები შეარჩიოს მუსიკა-ხელოვნების საგნების სწავლებისას.**

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1 06.09.2024;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2024-2025;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, მოსწავლეთა შედეგებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, გათვალისწინებულია მშობელთა ჩართულობა(რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან) და დირექციის როლი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ. სასწავლო პროცესის მონიტორინგის პროცესში, ვლინდება საჭიროებები და ხდება უკუკავშირის გაცემა. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ საგნობრივი კათედრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და შედეგების ანალიზს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2.**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც იკითხება რომ, ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლაში სასწავლო პროცესის გასამუმჯობესებლად და მოსწავლის შემდგომი განვითარებისათვის. სკოლა დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. სასწავლო წლის მანძილზე ხორციელდება მონიტორინგი და სამუშაო შეხვედრები მონიტორინგის შედეგების შესაფასებლად, რაც აუცილებელია სწავლების პროცესში ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი წარადგენს საკუთარ პოზიციას მიგნებებთან, რეკომენდაციებთან და ვადებთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან.წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების ჯგუფი , რომელიც დებულების შესაბამისად ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და აძლევს მასწავლებელს შესაბამის უკუკავშირს. საგნობრივ კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და შედეგად გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და მშობელთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება ასევე მასწავლებლები, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია,

რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური ტიპის დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.

შეფასებისას გათვალისწინებულია მასწავლებელთა კვალიფიკაცია, საგნის თავისებურებები, კურიკულუმში ასახული დავალებები და სხვ.კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იგეგმება ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, თვითშეფასების, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში.

-სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიეყენება, როგორც შემაჯამებელი ტიპის დავალებები (ტესტი,კლვევის ანაგარიშის წარმოება, პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა) ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების დროს განხორციელებული საკვანძო აქტივობები.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დაკვირვების წარმოება, გამოკითხვა , შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზიკითხვა-პასუხი, ტესტირება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ის შიდა და გარე ფაქოტრები რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სწავლების პროცესზე.

უცხოური ენები -კათედრის მიერ წარმოდგენლი დოკუმენტაციის თანახად, მასწავლებლები იყენებენ ისეთ შეფასების სქემებს, რომელიც აერთიანებს იმ კრიტერიუმებს და მახასიათებლებს, რაც მოიაზრება შეფასების სამიზნედ.

მათემატიკა - სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით. აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და რასაც ადასტურებს წარმოდგენილო დოკუმენტაციები და ოქმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- შეფასების რუბრიკები,საგნობრივი კურიკულუმები**
- **შეფასების რუბრიკები (უცხოური ენები)**
- **შემაჯამებელი დავალების ანალიზი,შეფასების სქემები(უცხოური ენები)**
- **კათედრის სხდომის ოქმები (უცხოური ენები)**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგია;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

კურიკულუმის გადახედვა, მისი შეფასება არის წინაპირობა იმისა რომ მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება კათედრის წევრების და დირექციის მხრდიან როგორ მოხდეს მომდევნო სასწავლო წლისთვის მისი გაუმჯობესება და მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული

კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და კათედრებთან მათ კოორდინირებულ მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებს და მიგნებებს. მიმდინარე ან წინა წლის განვლილი სასწავლო პროცესების შეფასების და გაანალიზების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომლებსაც ითვალისწინებენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გაასახლებლად და განახლებული კურიკულუმის შემუშავებისას, ამის დასტურია თუნდაც წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია.კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. კურიკულუმის გადამუშავებისა და განახლებისას გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ

საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. განახლებული კურიკულუმების შემუშავება დაფუძნებულია განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე. ასეთი ვალდებულება გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ დოკუმენტებში და სკოლის სასწავლო პროცესის განუყოფელ და მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
მითითებული დანართები;

თარიღი --21.07.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაია მამისეიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ლელა წურწუმია

2. ნინო ფსუტური

3.მარიამ ლეკიაშვილი

4. თაია მამარდაშვილი

5. მარიკა ბოცვაძე

6. .დავით ხუციშვილი

7.ნინო თედიაშვილი

8.მაია ჩაჩხიანი

9.კობა დეკანაძე

10.ნინო კოვზიაშვილი